პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 ოთხშაბათი 16 ივნისი № 140 (16570) ფასი 2 კაპ. 1976

ჩაის ვლანტაციებში

დაძაბულად შრომობენ ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის (ქობულეთის რაიონი) მეჩაიეები და ყოველდღიურად ტონობით ნედლეულს კრეფენ. აქ ფართოდ არის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება. წლეულს ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის შეჯიბრების ავანგარდში დგას მეშვიდე ზგროგანყოფილების № 25 ბრიგადა, რომელსაც ნ. ფუტკარაძე ხელმძღვანელობს.

ამ მოწინავე ბრიგადის წევრებს გადაწყვეტილი აქვთ წლეულს მოკრიფონ 95 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ბრიგადის ბევრ მეჩაიეს უკვე მოკრეფილი აქვს 1-2 ტონა ნედლეული. სანიმუშოდ შრომობს ბრიგადის წევრი კომკავშირელი თინათინ ქარცივაძე. (სურათზე მარჯვნივ).

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში კარგად იცნობენ ვარდაშ კობერიძეს. იგი სოციალისტური შრომის გმირია, განვლო გზა მეტალურგიდან საწარმოს მთავარი ინჟინრის მოადგილემდე. მამის კვალს გაჰყვნენ შვილებიც. უფროსი — ვაჟა მეფოლადე იყო, ახლა ლაბორატორიის მთავარი ინჟინერია, უმცროსი — იური მილამდიდავი საამქროს ოსტატი გახდა.

ქარხანაში ახლა მეტალურგთა ბევრი დინასტიაა. მამების პროფესიას შვილები და შვილიშვილები ირჩევენ.

მარტენის საამქროს № 3 ღუმელს ემსახურება წარჩინებული მეტალურგი, შრომის წოთელი დროშის ორდენოსანი, კომუნისტური შრომის დამკვრელი გრიგოლ სებისკვერაძე. მის თანაშემწედ მუშაობს ვაჟიშვილი ომარი. მათ წარმატებით დაიწყეს მეათე ხუთწლედი და გადაწყვიტეს მარტო წელს გეგმის გადაჭარბებით 500 ტონაზე მეტი ფოლადი გამოუშვან.

სურათზე: რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე გრიგოლ სებისკვერაძე (მარჯვნივ) და მისი ვაჟი — მეფოლადის თანაშემწე ომარ სებისკვერაძე. ისინი მეათე ხუთწლედის პირველი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში არიან.

ვ. სოკოლოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

კომუნისტთა სწავლება

ყველა თავის მიღწევაში კომუნისტები განუხრელად და თანამიმდევრულად ხელმძღვანელობენ დიადი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით. ეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის — მეცნიერული კომუნიზმის პარტიის თვით არსიდან გამომდინარეობს.

„მარქსიზმ-ლენინიზმი, — თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XXV ყრილობისადმი ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — ერთადერთი საიმედო საფუძველია სწორი სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებისათვის. იგი გვაძლევს ისტორიული პერსპექტივის გაგების შესაძლებლობას, გვეხმარება წინასწარ მრავალი წლით განვსაზღვროთ სოციალურ-ეკონომიური. და პოლიტიკური განვითარების მიმართულება, სწორი ორიენტირება მოვახდინოთ საერთაშორისო მოვლენებში“.

პარტია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს კომუნისტთა და უპარტიოთა აქტივის იდეურ-თეორიულ მომზადებას, მშრომელთა ფართო მასების პოლიტიკურ განათლებას. ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ დღეებში გამოქვეყნებულ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით პარტიული სწავლების ამოცანების შესახებ“. მასში ნათლად არის გაანალიზებული იმ მუშაობის შეძენილი გამოცდილება და პერსპექტივები, რომელსაც პარტიული ორგანიზაციები კადრების მარქსისტულ-ლენინური განათლების დარგში ეწევიან. პარტიული განათლების სისტემას შემდგომი სრულყოფა სჭირდება ყრილობის მიერ დასახული ამოცანების შესაბამისად.

პარტიისა და ხალხის რევოლუციურ-გარდამქმნელი საქმიანობის ხიღრმე და გაქანება, მეცნიერებისა და ტექნიკის, ეკონომიკისა და სოციალური ურთიერთობის განვითარება, საბჭოთა ადამიანების შეგნების ზრდა და კეთილდღეობის გაუმჯობესება, დიდი ძვრები საერთაშორისო ვითარებაში სოციალიზმის სასარგებლოდ, ბურჟუაზიული და რევიზიონისტული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომი გააქტიურების აუცილებლობა მსოფლიო ასპარეზზე — ყოველივე ეს, აღნიშნულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საქმეს სულ უფრო მზარდ მოთხოვნებს უყენებს. პარტიული სწავლების ძირითადი მიზანი ის არის, რომ კომუნისტები, ყველა მშრომელი შეიარაღოს მარქს-ენგელს-ლენინის იდეური მემკვიდრეობის, ჩვენი პარტიის ისტორიული გამოცდილების ცოდნით, მისი პოლიტიკის ნათელი გაგებით, იმის უნარით, რომ დაიცვას კომუნისტური იდეოლოგიის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის პრინციპები. ადამიანებს უნდა გამოვუმუშაოთ უნარი მეცნიერული პოზიციებიდან აფასებდნენ ცხოვრების ახალ მოვლენებს და გამოაქნდეთ სწორი დასკვნები პრაქტიკისათვის.

მომავალ პერიოდში პარტიული სწავლებისა და მახობრივი პროპაგანდის მთავარი ამოცანაა შეისწავლოს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში“, „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებანი“ და ბარტიის XXV ყრილობის სხვა მასალები. ეს მისი გადაწყვეტილებების განუხრელი განხორციელების ერთ-ერთი წინაპირობაა.

დადგენილებაში დასახულია ღონისძიებათა ფართო პროგრამა, რომელიც დაკავშირებულია პარტიული განათლების სისტემის ყველა რგოლის სასწავლო გეგმებში ახალი კურსებისა და საგნების შეტანასთან, რათა ღრმად შევისწავლოთ ყრილობის დოკუმენტები, შევიმუშაოთ შესაბამისი სასწავლო სახელმძღვანელოები კომუნისტთა და უპარტიოთა აქტივის, ხელმძღვანელი და იდეოლოგიური კადრების იდეურ-თეორიული დონის ამაღლებაში. პროპაგანდისტთა და პოლიტინფორმატორთა მომზადებაში დიდი როლი უნდა შეასრულოს მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტებმა. როცა მეცადინეობის ხელმძღვანელებსა და მსმენელებს მომავალი სასწავლო წლის გეგმებს უსახავენ, პარტიულმა კომიტეტებმა, პოლიტიკური განათლების სახლებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ მარქსიზმ-ლენინიზმის, როგორც ერთიანი ინტერნაციონალური მოძღვრების ფუძემდებელი პრინციპების, პარტიის ისტორიული გამოცდილების, თეორიაში იმ შემოქმედებითი წვლილის ღრმად ათვისებას, რომელსაც სკკპ უკანასკნელი ყრილობებისა და მისი ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებები, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისა და სხვა პარტიული ხელმძღვანელების გამოსვლები, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის დოკუმენტები შეიცავენ..

პარტიის თეორიისა და პოლიტიკის შესწავლა ნამდვილად ეფექტიანი მხოლოდ მაშინ არის, როცა იგი კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირით წარმოებს, როცა შეძენილი ცოდნა აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციად, მოქმედების სახელმძღვანელოდ იქცევა. აქ ძალიან ბევრს განსაზღვრავს სწავლის ხარისხი. სკკპ ცენტრალური კომიტეტი გვირჩევს რაც შეიძლება ფართოდ გამოვიყენოთ მეცადინეობის მნიშვნელოვანი ფორმები და მეთოდები — თეორიული კონფერენციები, სემინარები, გასაუბრება, პრაქტიკული დავალებების შესრულება, რეფერატების მომზადება, სოციალურ-ეკონომიური ანალიზი. დიდი მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკურ თვითგანათლებას — რევოლუციური თეორიის დაუფლების ძირითად მეთოდს.

საგნისა და სწავლის ფორმების შერჩევისადმი დიფერენციერებული მიდგომა, ნებაყოფლობის პრინციპის ზუსტად დაცვა განუყოფელია მეცადინეობის შინაარსისა და ქმედითობისაგან კონკურენციის გაძლიერებისაგან. პარტიულ ორგანიზაციათა მოვალეობაა აღმოფხვრან ფორმალიზმი, აბსტრაქტულ-განმანათლებლური და ვიწრო უტილიტარისტული მიდგომა პოლიტიკური და ეკონომიური განათლებისადმი, მიაღწიონ, რომ ყველა კომუნისტი სისტემატურად მუშაობდეს თავისი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის, სწავლას უხამებდეს მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში აქტიურ მონაწილეობას.

პარტიულმა კომიტეტმა, კომკავშირულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობამ, სამინისტროებმა და უწყებებმა ბევრი რამ უნდა გააკეთონ პროპაგანდის მასობრივი ფორმების — კომკავშირული პოლიტგანათლების, მშრომელთა ეკონომიური განათლების, კომუნისტური შრომის სკოლების, სახალხო უნივერსიტეტების თეორიული დონისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

პარტიული კომიტეტებისათვის კანონი უნდა გახდეს პროპაგანდისტთა კადრებისადმი სათუთი დამოკიდებულების ლენინური პრინციპები. პროპაგანდისტთა მუშაობა უნდა მივიჩნიოთ უმნიშვნელოვანეს პარტიულ დავალებად, წავახალისოთ მათი კეთილშობილური შრომა. უნდა განვაზორციელოთ პოლიტიკური განათლების სახლებისა და კაბინეტების საქმიანობის გაუმჯობესების, კვალიფიციური კადრებით მათი განმტკიცების ღონისძიებები. ჩვენი პერიოდული პრესის, ტელევიზიისა და რადიოს ვალია გაუძღვეროონ დახმარება იმათ, ვინც მარქსიზმ-ლენინიზმს სწავლობს.

ახლა ჩადგება მზადება პარტიული განათლების სისტემის ყველა რგოლში ახალი სასწავლო წლისათვის. საჭიროა ეს მუშაობა ვაწარმოოთ მიზანდასახულად, გეგმაზომიერად, ყოველმხრივ, რათა პირველი მეცადინეობიდანვე უზრუნველყოთ მარქსისტულ-ლენინური სწავლების მაღალი დონე. ცხოვრებასთან ნაყოფიერი კავშირით იგი ხელს შეუწყობს საბჭოთა ადამიანებს უფრო მჭიდრო იდეურ შეკავშირებას, შთაგონებს მათ ახალ შემოქმედებითს შემართებას კომუნიზმის საკეთილდღეოდ.

„პრავდის“ მოწინავე, 14/VI.

ჟურნალისტების „მრგვალი მაგიდა“

14 ივნისს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მუშაობა დაიწყო რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო და საქალაქო გაზეთების მუშაკთა სემინარმა. იგი მოწვნავე ჟურნალისტური გამოცდილების შესწავლას, გამოფენაზე წარმოდგენილი სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების პროპაგანდას მიეძღვნა. (საკდესი).

ბეათე-ხარისხის, ეფექტიანობის-ხუთწლედი

მარმარილო — გეგმის გადამეტებით

თელავი. (საკ. კორ.). ფიქალ-მარმარილოს კომბინატის (დირექტორი მ. გოლეთიანი) მშრომელებმა მეათე ხუთწლედის პირველი წლის 5 თვის დავალება წარმატებით გაანაღდეს. გეგმით გათვალისწინებული 359 ათასი მანეთის ნაცვლად სამშობლოს 906 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია მისცეს და გეგმა 105,5 პროცენტით შეასრულეს. გამოშვებულია 4.672 ტონა ზეგეგმითი მარმარილოს ნამცეცი, რაც კომბინატის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახეობის პროდუქციაა.

საწარმომ პროდუქციის რეალიზაციის ხუთი თვის გეგმა შეასრულა 100,7 პროცენტით, შრომის ნაყოფიერებისა — 106,5 პროცენტით, ხოლო მოგების და დაგროვებისა — 103,8 პროცენტით.

მარელისელთა ნახელავი

მაათე ხუთწლედის პირველი წელი დამკვრელური შრომით დაიწყეს მარელისელმა მეავეჯეებმა. მათ პროდუქციის გამოშვების ხუთი თვის გეგმა 101 პროცენტით შეასრულეს — გამოუშვეს 1.203 ათასი მანეთის პროდუქცია. გადაჭარბებით — 101,7 პროცენტით შესრულდა რეალიზაციის გეგმაც. გამოშვებულია 1.184 ათასი მანეთის ავეჯი.

ხუთ თვეში შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 3,1 პროცენტით. თვითეულმა მეავეჯემ 81 მანეთით მეტი პროდუქცია მისცა ქვეყანას, ვიდრე გეგმა ითვალისწინებდა.

მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის კოლექტივი დამკვრელურად შრომობს ივნისშიც.

ბ. პანტურაია,
ორჯონიკიძის რაიონული გაზეთის „ლენინის დროშით“ რედაქციის განყოფილების გამგე.

მამების მაგალითით

რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში კარგად იცნობენ ვარდაშ კობერიძეს. იგი სოციალისტური შრომის გმირია, განვლო გზა მეტალურგიდან საწარმოს მთავარი ინჟინრის მოადგილემდე. მამის კვალს გაჰყვნენ შვილებიც. უფროსი — ვაჟა მეფოლადე იყო, ახლა ლაბორატორიის მთავარი ინჟინერია, უმცროსი — იური მილამდიდავი საამქროს ოსტატი გახდა.

ქარხანაში ახლა მეტალურგთა ბევრი დინასტიაა. მამების პროფესიას შვილები და შვილიშვილები ირჩევენ.

მარტენის საამქროს № 3 ღუმელს ემსახურება წარჩინებული მეტალურგი, შრომის წოთელი დროშის ორდენოსანი, კომუნისტური შრომის დამკვრელი გრიგოლ სებისკვერაძე. მის თანაშემწედ მუშაობს ვაჟიშვილი ომარი. მათ წარმატებით დაიწყეს მეათე ხუთწლედი და გადაწყვიტეს მარტო წელს გეგმის გადაჭარბებით 500 ტონაზე მეტი ფოლადი გამოუშვან.

სურათზე: რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე გრიგოლ სებისკვერაძე (მარჯვნივ) და მისი ვაჟი — მეფოლადის თანაშემწე ომარ სებისკვერაძე. ისინი მეათე ხუთწლედის პირველი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში არიან.

ვ. სოკოლოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

პირუტყვს—წლინახევრის საკვების მარაგი!

თიბავენ ქალაქელები

ქალაქი — სოფელს!

ბარდაბნის რაიონის საკვებმომპოვებლებმა ვალდებულება იკისრეს თივისა და სენაჟის დამზადება ძირითადად თავთავიანი მარცვლეული კულტურების მკის დაწყებამდე დამთავრონ, რომ მოსავლის აღება არ შეფერხდეს, მოიმარაგონ 17.390 ტონა თივა, დაამზადონ 49.894 ტონა სენაჟი.

წლეანდელმა ამინდმა ხელი შეუწყო თივის მოსავლის სიუხვეს. ბალახი ყველგან ბლომად არის. ეს სამუშაო დროულად რომ შეასრულონ, გარდაბნელ საკვებმომპოვებლებს ეხმარებიან თბილისის საწარმოთა და დაწესებულებათა მშრომელები.

ამ მხრივ მისაბაძი ინიციატივა გამოიჩინეს თბილისის 26 კომისრისა და საქართნო რაიონების მუშა-მოსამსახურეებმა. ბალახის სათიბად, სენაჟის დასამზადებლად 160 კაცი ჩამოვიდა და საკვებმომპოვებლების მხარდამხარ მეურნეობაში თივის მოსავლის აღებასა და სენაჟის დამზადებას შეუდგნენ. მათ ერთ დღეს ჯანდარის, სართიჭალის, გამარჯვების, ახალსამგორის, გაჩიანისა და სხვა საბჭოთა მეურნეობებში 50 ჰექტარი გათიბეს და 70 ტონაზე მეტი სენაჟი დაამზადეს. კარგად იმუშავეს თბილისელთა 8 მრიგადის წევრებმა, რომელსაც მშრომელთა დეპუტატების საქართნო რაიონებიდან აღმასკომის განყოფილების გამგე ჯ. ძიძიგური ხელმძღვანელობს. სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლების, რკინაბეტონის ქარხნებისა და ფაბრიკა „განთიადის“ მუშა-მოსამსახურეებმა ერთ დღეს 30 ჰექტარამდე ბალახი გათიბეს, 35 ტონა სენაჟი დაამზადეს.

ბოლნისის რაიონში 10 დღით ჩამოვიდნენ კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი, ელმავალსაშენებელი, ფოლად-თუჯსამსხმ ე ლ ო, ელექტროაპარატის, გაზაპარატის, შუშის ქარხნების, რკინიგზის თბილისის სატვირთო სადგურის მუშა-მოსამსახურეები. მათგან ერთი ჯგუფი, რომელშიც 32 კაცი შედის, ბოლნისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას ეწევიენ, სადაც 400 ჰექტარზე მეტი უნდა გათიბონ. ოთხ სამუშაო დღეში მუშა-მოსამსახურეებმა ბალახი 110 ტონაზე მეტი გათიბეს, მათ პირობა დადეს, რომ მეურნეობის პირუტყვს 1.000 ტონა თივას დაუმზადებენ.

ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნიდან ოთბვის ყოველდღიურ ნორმას ორმაგად ასრულებენ ლ. გოგიშვილი, ნ. მარიამძე, ვ. აფციაური, გ. ნავერიანი, ო. კუთუნაშვილი, ს. პაპუნაშვილი, რ. გოგიჩაძე, ს. გვასალია, ქარხნის პარტორგანიზაციის მდივანი გ. ასათიანი. მოთიბული ნედლი მასალა სენაჟის დასამზადებლად იგზავნება.

თბილისის ლენინის სახელობის რაიონიდან რატევანის საბჭოთა მეურნეობაში საკვების დამზადების საქმეში დასახმარებლად ხუთი საწარმო-დაწესებულ ებ ის მუშა-მოსამსახურეები მოვიდნენ. მათ გადაწყვიტეს მეურნეობას 500 ტონამდე ბალახი დაუმზადონ. ენერგიულად შრომობენ ელმავალმშენებლები. ოთხ დღეში 70 ტონამდე ბალახი გათიბეს.

დედაქალაქიდან ჩამოსული მუშა-მოსამსახურეები 10 დღეს იმუშავებენ პირუტყვისათვის საკვების დამზადებაში — გათიბავენ 1.500 ტონაზე მეტ ბალახს.

დასახმარებლად ჩამოსულ დედაქალაქის მშრომელებთან მხარდამხარ საკვებმომპოვებლები ყოველდღე აძლიერებენ მუშაობის ტემპს. თიბავენ, ასილოსებენ, რაიონში წლეულს სენაჟი უნდა დამზადდეს 15 ათასი ტონა, აქედან უკვე ჩადებულია 6 ათასზე მეტი სენაჟი. ყველაზე მეტი სენაჟი დაამზადეს არაბლოს, ბოლნისისა და რატევანის საბჭოთა მეურნეობებმა.

შ. ჭოჭუა.

ვკრიფოთ ყოველგვარ ამინდში

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადება 1976 წლის 15 ივნისისათვის (ტონობით)

რაიონები	გეგმა-ეკოლოგებულებ:	სულ სეზონის დაწყებიდან მოკრეფილი	გასულ წელთან შედარებით +| —
ხელვაჩაურის	14.300	6.353	— 179
ქობულეთის	33.000	13.868	—1.246
ქედის	700	279	— 55
აჭარის ასსრ	48.000	20.500	—1.480
გალის	32.415	12.825	— 216
ოჩამჩირის	23.220	8.577	— 57
სოხუმის	575	229	— 26
გულრიფშის	1.990	832	— 99
გუდაუთის	4.970	1.662	— 243
აფხაზეთის ასსრ	63.170	24.125	— 644
მახარაძის	57.120	23.787	—3.376
ჩოხატაურის	9.450	4.457	— 303
ლანჩხუთის	15.525	7.203	— 451
სამტრედიის	2.010	864	+ 16
წულუკიძის	6.750	3.219	+ 225
წყალტუბოს	8.030	3.588	+ 306
ტყიბულის საქალაქო საბჭო	7.140	2.718	— 453
ცხაკაიას	8.100	3.077	— 328
აბაშის	600	286	— 17
მეგრეკოროის	16.310	6.760	— 185
ზუგდიდის	45.300	16.847	—1.092
წალენჯიხის	23.680	6.328	—2.135
ჩხოროწყუს	15.210	6.039	— 609
ხობის	6.370	2.713	+ 66
თერჯოლის	910	396	— 13
ჰაბუშერის საქალაქო საბჭო	810	277	— 88
ვანის	500	219	— 5
სულ საქართველოს სს რესპუბლიკაში	**335.000**	**133.402**	**—10.584**

ივნისის მესამე ხუთდღიურში უფრო გაძლიერდა კრეფის ტემპი. მართალია, კოეფიციენტი წვიმის შედეგად 11 ივნისს რესპუბლიკაში მოიკრიფა მხოლოდ 658 ტონა ჩაის ფოთოლი, მაგრამ გამოიდარა თუ არა, პლანტაციებში გავიდა დიდი და პატარა. ჩაის საკრეფი მანქანებიც დატვირთვით მუშაობდნენ. ამის შედეგად 13 ივნისს მოიკრიფა 4.875 ტონა ჩაი, 14 ივნისს — 4.840 ტონა. წარშანდელთან შედარებით დანაკლისი 10.584 ტონამდე დავიდა.

ყველა შესაძლებლობა არსებობს იმისათვის, რომ ჩამორჩენა 20 ივნისამდე გამოსწორდეს. მეჩაიეებო, სიტყვა თქვენ ბეკუთვნის!

სოფლის შეკვეთები — დროზე

15 ივნისს მოსკოვში გაიმართა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკავშირო ოპერატიული შტაბის მორიგი სხდომა, რომელშიც განიხილა „1976 წლის მოსავლის აღების, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და საკვების დამზადების უზრუნველყოფის დამატებით ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების წარმატებით განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საკავშირო გაერთიანების „საკსოფლტექნიკის“ თავმჯდომარემ ა. ა. ეფიმოვმ გააანალიზა, მზად არის თუ არა ტექნიკა მოსავლის ასაღებად. მთლიანად ქვეყანაში მისი რემონტის ტემპი შარშანდელზე სწრაფია. საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს უკრაინის, ბელორუსიის, მოლდავეთის მეურნეობებმა, სადაც ძირითადად დამთავრდა კომბაინების პარკის მომზადება.

განხილულ საკითხებზე ოპერატიულმა შტაბმა მიიღო დადგენილება.

შტაბის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, მთელ რიგ სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები. (საკდესის კორ.).

□ **კალინინგრადი.** ჩვენს ქვეყანაში უდიდესი საფირმო მაღაზია „ოკეანე“ — გაიხსნა 15 ივნისს კალინინგრადის ცენტრში. სავაჭრო დარბაზის ფართობი 1.200 კვადრატულ მეტრს აღემატება. მაღაზია მუშაობს თვითმომსახურების მეთოდით, ასზე მეტი დასახელების ყველა პროდუქტი ყიდება დაფასოებული. მყიდველთა განკარგულებაშია შეკვეთების მაგიდა, კაფეტერიები, საკონსულტაციო პუნქტი, სადაც შეუძლიათ მიიღონ რჩევა თევზის კერძების მომზადების შესახებ.

□ **ხარკოვი.** შეიქმნა პროგრამული მართვის ავტომატური კომპლექსები, რომლებიც განკუთვნილია შაქრის ქარხნებში ჭარხლის გადასამუშავებლად. ნიღლეული ელექტრონული ხელსაწყოებ ი ს ბრძანებით გაივლის ტექნოლოგიური დამუშავების ყველა სტადიას. ავტომატების პირველი პარტია გამოუშვა 15 ივნისს კუპიანსკის მანქანათსაშენებელმა ქარხანამ. ახალ მოწყობილობას მიიღებენ რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ბელორუსიის, ყაზახეთის, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების სწარმოები.

□ **კალაი-ხუმბი.** (ტაჯიკეთის სსრ). წარჩინებული მეაბრეშუმის, სოციალისტური შრომის გმირის, მთიანი ბადახშანის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობა „დარვოზის“ წევრის ფოტიმა სუფიხონოვას რგოლმა 15 ივნისს მიიღო პარკის ყველაზე უხვი მოსავალი. სამ კოლოფ ვრენხე აქ მიიღეს 400 კილოგრამზე მეტი მაღალხარისხოვანი აბრეშუმის ნედლეული. მეათე ხუთწლედის პირველ წელს აბრეშუმეულეობის ყველა ტალიანს. ავტომატების პირველი პარტია გამოუშვა 15 ივნისს კუპიანსკის მანქანათსაშენებელმა ქარხანამ. ახალ მოწყობილობას მიიღებენ რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ბელორუსიის, ყაზახეთის, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების სწარმოები.

□ **ვილნიუსი.** 400 გამოცემაა ექსპონირებული ბულგარული აკადემიური წიგნის გამოფენაზე, რომელიც ლიტვის მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გაიხსნა. გამოფენა ეძღვნება ბულგარელთა აჯანყების და ოტომანთა უღლისაგან ქვეყნის განთავისუფლების 100 წლისთავს. ბიბლიოთეკის ფონდებში ორ მილიონზე მეტი წიგნია. იგი ლიტერატურას უცვლის საზღვარგარეთის 700 წიგნსაცავს. აქ უკვე მოუწყვიათ პოლონეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სამეცნიერო წიგნის ანალოგიური გამოფენები.

□ **ლიპეცკი.** საოქსე ბატარეა, რომლის დამონტაჟება 15 ივნისს დაიწყო ნოვოლიპეცკის მეტალურგიულ ქარხანაში, იმუშავებს ეგრეთ წოდებული კოქსის სველი ჩაქრობის გარეშე, რომლის დროს ჭუჭყიანდება ატმოსფერო და იკარგება დიდძალი სითბო. ბატარეა შენდება ყველაზე მოწინავე ტექნოლოგიის შესაბამისად, რომელიც მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების საშუალებას მოგვცემს. ამ ბატარეის ამუშავების შედეგ ლიპეცკის „მაგნიტკის“ საოქსე საამქროების საერთო მწარმოებლობა წელიწადში შვიდ მილიონ ტონას გადააჭარბებს.

ახალი ამბები

ვაზის გაკურნება

ოდესა. (საკდესის კორ.). ვაზის ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანი მეთოდი შეიმუშავეს ოდესელმა მეცნიერებმა. მეევნახეებს პირველად მიეცათ შესაძლებლობა კი არ მოსპონ დაავადებული ვაზი, არამედ აღუდგინონ მას ნაყოფიერება.

მორწყვის წინ ვაზის დაავადებულ ფესვებს ასხამენ ჰექსაქლორბუთადიენის ხსნარს, რომელიც გამოიყენება ბეღლის გრძელცხვირას წინააღმდეგ. ეს პრეპარატი ყველაზე უკეთესია იმ საშუალებებთან შედარებით, რომლებსაც ადრე იყენებდნენ ფილოქსერასთან ბრძოლაში. მისმა ხანგრძლივმა შემოწმებამ ქვეყნის სხვადასხვა ნიადაგურ და კლიმატურ ზონებში კარგი ნაყოფი გამოიღო.

ამ გზაფხულზე ახალი მეთოდით უმჯობესულ ნერგებს ვენახების ქვეყნის სხვადასხვა მეურნეობებში.

15 ივნისი

„პრავდის“ ფურცლებზე

ტექნიკა მუშაობლობაზე

ჩვენს ქვეყანაში წლითიწლობით იზრდება კაპიტალური მშენებლობის ტემპი. ახლა საშუალოდ ყოველდღიურად შენდება ერთი მსხვილი სამრეწველო საწარმო და ექვსი ათასზე მეტი ბინა, სამუშაოთა ასეთი უდიდესი გაქანება შესაძლებელი გახდა სახალხო მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის, მისი ინდუსტრიალიზაციისა და მექანიზაციისათვის კომუნისტური პარტიის მუდმივი ზრუნვის მეოხებით.

სამშენებლო საქმის შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების ვრცელი კომპლექსური პროგრამა დასახა სკკპ XXV ყრილობამ. მეათე ხუთწლედში, აღნიშნავს გაზეთი, — გათვალისწინებულია მნიშვნელოვნად ამაღლდეს კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობა, თვისებრივად გაუმჯობესდეს ძირითადი ფონდები, უფრო სწრაფად ამოქმედდეს ახალი სიმძლავრეები. **შრომისნაყოფიერება 29-32 პროცენტით უნდა გაიზარდოს.** პარტიამ დასახა ამ ამოცანების გადაწყვეტის კონკრეტული გზები.

იმისათვის, რომ სწრაფად შენდებოდეს ახალი საწარმოები და საცხოვრებელი სახლები, უფრო სრულად უნდა გამოვიყენოთ მძლავრი ტექნიკური საშუალებები. სწორედ ამას უსახავს პარტია მიზნად მშენებელთა მრავალძლეულიან არმიას.

ამ დღეებში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება. რომლითაც მოიწონა ტიუმენის ოლქის წარალსტვებში სარეწი თევზის ძარცვის გადიდებისა და უკეთ გამოყენებისათვის თევზის მეურნეობის საწარმოო კოლექტივების, მეცნიერებისა და სპეციალისტების დასაბრუნებლად პარტიის ტიუმენის საოლქო კომიტეტის ორგანიზატორული მუშაობა. გუშინდელ ნომერში გაზეთის სპეციალური კორესპონდენტი ს. ვტორუშინი მკითხველს ესაუბრება სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწონებულ ამ გამოცდილებაზე („ცემბირის ციხფერი ხოდაბუნი“).

ცნობილია, რომ შაქრის ჭარხლის გადამუშავების ამჟამინდელი ტექნოლოგია ვერ უზრუნველყოფს შაქრის საკმარისად სრულ გამოყოფას. იკარგება ოც პროცენტამდე შაქარი. და აი, როგორც გაზეთი იუწყება, ვორონეჟის უნივერსიტეტის ქიმიკოსებმა დამუშავეს ახალი, მკვეთრად გაუმჯობესებული ტექნოლოგია („იონიტების დახმარებით“).

გამოჩენილ რუს საბჭოთა მსახიობს ნიკოლოზ კრიუჩკოვს კარგად იცნობს ჩვენი მაყურებელი. რუბრიკით — „ხელოვნების ოსტატები“ — დაბეჭდილია დ. შაცილოს წერილი — „მსახიობი და მისი გმირები“, რომლის ავტორი გვაცნობს ნ. კრიუჩკოვის შემოქმედებას.

ПРАВДА

ᲕᲒᲐᲙᲘᲗᲮᲔ ᲜᲐᲒᲘᲠᲘᲗ — ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ

მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის XVII ყრილობა

როგორც ვიუწყებოდით, 14 ივნისს ულან-ბატორში დიდი სახალხო პურალის სხდომათა დარბაზში მუშაობას შეუდგა მონგოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის XVII ყრილობა.

მოხსენება — „მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარში მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის XVII ყრილობისადმი“ — გააკეთა მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა �ახანგმა ი. ცედენბალმა, რომელსაც ყრილობის დელეგატები და სტუმრები გულითადად შეხვდნენ.

ჩვენი პარტიის მორიგი, XVII ყრილობა მიმდინარეობს მონგოლეთის სახალხო რევოლუციის 55-ე წლისთავის წინ. ეს ყრილობა, ისე როგორც სახალხო რევოლუციის სახელოვანი იუბილე, დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტია ქვეყნის მიზანსწრაფული განვითარების გზაზე, თქვა ი. ცედენბალმა.

მუშათა კლასის, კოოპერირებული არატელისა და სახალხო ინტელიგენციის შეუპოვარი თავდადებული შრომის მეოხებით წარმატებით შესრულდა მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების მეხუთე ხუთწლიანი გეგმა. კიდევ უფრო განვითარდა სოციალისტური ინდუსტრია და ეკონომიკის სხვა დარგები. განმტკიცდა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კეთილდღეობა. ხუთწლედის მანძილზე კიდევ უფრო განმტკიცდა ხალხის სოციალურ-პოლიტიკური ერთიანობა, იმვეწმოდა სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობა.

ჩვენმა სამშობლომ კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გადადგა პარტიის მიერ დასახული საპროგრამო ამოცანების განხორციელების — სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გზაზე. ეს არის პარტიის მრავალმხრივი პოლიტიკური და ორგანიზატორული საქმიანობის, მთელი ხალხის თავდადებული შრომის მთავარი შედეგიც. ამით კვლავ დადასტურდა, რომ სწორია პარტიის სოციალურ-ეკონომიური პოლიტიკა.

თავის XVII ყრილობას ჩვენი პარტია კიდევ უფრო განმტკიცებული და მონოლითურად შეკავშირებული ეგვება. ცხოვრება ადასტურებს, რომ მონგოლეთის სახალხო რევოლუციური პარტია მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი დროშისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი თავისი ერთგულებით არის ძლიერი.

ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს პარტიას, ქვეყანას ახალი, კიდევ უფრო რთული ამოცანები დაგუსახოთ, რომლებიც 1976-1980 წლებისთვის არის გათვალისწინებული.

მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის დარგში პარტიის XVI ყრილობის მიერ დასახული დიდმნიშვნელოვანი ამოცანების აქტიურ და წარმატებით განხორციელებას მოაყვა ჩვენი სახელმწიფოს საერთაშორისო მდგომარეობის შემდგომი განმტკიცება, მსოფლიო ასპარეზზე მისი ავტორიტეტის მეტი ზრდა, მნიშვნელოვნად გააქტიურდა მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის მონაწილეობა საერთაშორისო საქმეებში, გაძლიერდა ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის, სამართლიანობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის ჯაჭვლაში.

XXV ყრილობის გადაწყვეტილებები უშუალოდ ყველა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებსა და მომავალს ეხება. კაცობრობის საარსებო მოთხოვნების შეესაბამება. სწორედ ამით აიხსნება სკკპ XXV ყრილობის უდიდესი საერთაშორისო რეზონანსი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რეალისტური და კონსტრუქციული მიდგომა საერთაშორისო ცხოვრების პრობლემებისადმი, რაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მკაფიო, ღრმაშინაარსიან მოხსენებაში აისახა, ჩვენი პლანეტის ყველა კუთხეში მხურვალე გამოხმაურებას იწვევს, მას იწონებენ და მხარს უჭერენ მთელი მსოფლიოს მრავალმილიონიანი მასები.

მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკამ, ისევე როგორც სოციალიზმის მოძმე ქვეყნებმა, მშვიდობისათვის ბრძოლის შემდგომი გაშლის პროგრამა, რომელიც სკკპ XXV ყრილობამ წამოაყენა, სოციალიზმის ჩვენს საერთო საგარეო-პოლიტიკურ პლატფორმად მიიჩნია. იგი სკკპ XXIV ყრილობის მიერ გამოცხადებული საგარეო-პოლიტიკური კურსის ორგანული გაგრძელება და განვითარებაა. ამ კურსის წარმატებით რეალიზაციას, რომელიც განუხრელად არის დაკავშირებული მშვიდობისა და კომუნიზმისათვის გამორნილი მებრძოლის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოღვაწეობასთან და უდიდეს პირად წვლილთან, მოაყვა ისტორიული შემობრუნება კონფრონტაციიდან საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისაკენ, ბელისნის სულიანგრიესა და პრინციპების დამკვიდრებისაკენ.

შემდეგ ი. ცედენბალი დაწვრილებით შეეხო იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკისათვის მონგოლეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობასა და თანამშრომლობას სსრ კავშირთან. მონგოლი და საბჭოთა ხალხების მეგობრობისა და ძმობის შემდგომ განვითარებაში, თქვა მან, უდიდესი მოვლენა იყო მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკაში 1974 წელს საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტი, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ჩვენი ხალხის ერთგული და უსაღოესი მეგობარი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი მეთაურობდა.

მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და მთელი მონგოლი ხალხის სახელით ი. ცედენბალმა გულწრფელი და დიდი მადლობა გადაუხადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა თანამშრომლებს, ინჟინერ-ტექნიკოსებს, ექიმებს, ოსტატებს, ყველა ადამიანს, ვინც ამ ეპოქალურ ღონისძიებაზე ბრძოლა, ოფლი, ენერგია, ნებისყოფა, ენთუზიაზმი, ცოდნა, ოსტატობა, ერთგულება, ინტერნაციონალიზმის პრინციპული ხელშეკრულებაზე.

„ჩვენი პარტია იზიარებს ოძვნე პარტიების აზრს, რომ მიზანშეწონილია გაიმართოს მსოფლიოს კომუნისტური და მუშათა პარტიების ჯერიმადგენელთა ახალი საერთაშორისო თათბირი ახლანდელი საერთაშორისო ვითარების კოლექტიური ანალიზისა და იმპერიალისტური რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო გეზის შემუშავების მიზნით.

ჩვენ ვაჯაბა რა სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში ქვეყნის მიღწევების შედეგები, ი. ცედენბალმა აღნიშნა, რომ მეხუთე ხუთწლედის ძირითადი სოციალურ-ეკონომიური ამოცანები წარმატებით შესრულდა. ერთობლივი სიზოგადოებრივი პროდუქტის წარმოების მოცულობა გაიზარდა 44,5 პროცენტით, ეროვნული შემოსავალი — 38 პროცენტით. განსორციელდა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და ცხოვრების კულტურული დონის ამაღლების დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებები.

ქვეყნის განვითარების მიღწეული დონე საშუალებას გვაძლევს ჩვენი ეკონომიკისა და კულტურის განვითარების ახალი დიდმნიშვნელოვანი ამოცანები დავსახოთ მომავალი ხუთწლეულისათვის.

ახალი ხუთწლედის მანძილზე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური განვითარების მთავარი ამოცანა ის არის, რომ უზრუნველყოთ საზოგადოებრივი წარმოების შემდგომი ამაღლება, ეფექტიანობის გადიდება, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში, ამ საფუძველზე ხალხის ნატერიალური კეთილდღეობის გუმჯობესებისა და კულტურული დონის განუხრელი ამაღლების მიღწევა.

პარტიის აგრარული პოლიტიკა მიზნად ისახავს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტაბილური ზრდის უზრუნველყოფას, კოოპერაციული წყობილების ყოველნაირ განმტკიცებას და სოფლად სოციალისტური საწარმოო ურთიერთობის სრულყოფას, სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების შემდგომ აღმავლობას.

გეგმით გათვალისწინებულია საზოგადოებრივი პროდუქტის მოცულობა გადიდდეს 40-44 პროცენტით, ხოლო ეროვნული შემოსავლისა — 37-41 პროცენტით. კაპიტალური დაბანდებანი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში მეექვსე ხუთწლედში გადაჭარბებს წინა 10 წლის ასეთნებებს.

შემდეგ ი. ცედენბალმა შეაჯამა მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის მეურნეობის ცალკეულ დარგებში შესრულებულ სამუშაოთა შედეგები და ჩამოაყალიბა სოციალურ-ეკონომიური პროგრამის მთავარი ამოცანები, რომლებიც მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა პროექტში „მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებანი“.

საანგარიშო პერიოდში კიდევ უფრო განმტკიცდა ჩვენი პარტიის იდეური და ორგანიზაციული ერთიანობა, ხალი გაუსვა შემდეგ მომხსენებელმა, ხალხში პარტიის მაღალ ავტორიტეტს მოწმობს მისი რიგების შემდგომი რაოდენობრივი და თვისებრივი ზრდა. XVI ყრილობის დროიდან პარტიის რიგსები გაიზარდა 15,3 პროცენტით. მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის სოციალურ შემადგენლობა ახასიათებს შემდეგი მონაცემები: მუშები — 31,3 პროცენტი, სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებათა წევრები — 19, მოსამსახურენი, ინტელიგენციის წარმომადგენლები — 49,7 პროცენტი.

ახალი პარტიული შევსების თითქმის 80 პროცენტი მუშები, სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებათა წევრები, სახალხო მეურნეობის სპეციალისტები არიან. მნიშვნელოვნად გაიზარდა კომუნისტი ქალების რიცხვი, რომელთა წილად ახლა მოდის პარტიის შემადგენლობის 24,2 პროცენტი და ახალშესულთა დაახლოებით მესამედი. ახალი პარტიული შევსების 60 პროცენტზე მეტი ოცდაათ წლამდე ახალგაზრდები არიან.

საანგარიშო პერიოდში პარტიის იდეოლოგიური მუშაობა მთლიანად ექვემდებარებოდა მშრომელთა კომუნისტური აღზრდის გაძლიერების, პარტიის XVI ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელების ამოცანებს, თქვა შემდეგ ი. ცედენბალმა.

ისეთი ღირსშესანიშნავი თარიღებისათვის მზადებამ და მოწყობამ, როგორიც იყო სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავი, მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის III ყრილობისა და მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების ნახევარი საუკუნის იუბილეი, ფაშიზმსა და მილიტარიზმზე მსოფლიო-ისტორიული გამარჯვების 30 წლისთავი, ნაყოფიერი ზემოქმედება მოახდინეს პარტიისა და ხალხის იდეური ცხოვრების ზრდაზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სხვა მოძმე პარტიების იდეურ-თეორიული საქმიანობის მდიდარი გამოცდილების შესწავლასა და გამოყენებას, ამ დარგში მათთან მჭიდრო თანამშრომლობას დიდი ინიშვნელობა ჰქონდა იმისათვის, რომ პარტიულ ორგანიზაციებს დაეხვეწათ იდეოლოგიური ფრონტის ყველა უბნისადმი ხელმძღვანელობა.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო სოციალისტური ქვეყნების ყოველმხრივ დაახლოებას, იმას, რომ მათი ინტეგრაციის განვითარება მსოფლიო სოციალისტური სისტემის ზრდასა ობიექტური კანონზომიერებაა.

ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარების მორიგი ამოცანები და პერსპექტივები მთელი სიმწვავით სახავენ მომძე სოციალისტურ ქვეყნებთან, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირთან ეკონომიურ, პოლიტიკურ, კულტურულ და იდეოლოგიურ დონეებში ორნეოლეთის სახალხო რესპუბლიკის ყოველმხრივი დაახლოებისა და კონსოლიდაციის პროცესის გაძლიერების აუცილებლობას.

ჩვენი ქვეყნის მუშები, სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებათა წევრები და მშრომელი ინტელიგენცია, თქვა დასასრულ ი. ცედენბალმა, ერთსულოვნად იხილავენ მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროექტს „მონგოლეთის სახალხო მეურნეობისა და კულტურის 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებანი“, როგორც ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომ განვითარების კონკრეტულ პროგრამას. მეექვსე ხუთწლედი სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, „საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფის, სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების შემდგომ აღმავლობის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის. ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის მტრულ ძალას.

მონგოლეთის სახალხო-რევოლუციურ პარტიას თავის წმინდათაწმიდა მოვალეობად მიაჩნია ჭეშმარიტ თანამემდგომურად იბრძოლოს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის რიგების განმტკიცებისათვის მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპულ საფუძველზე.

„ჩვენი პარტია იზიარებს ოძვნე პარტიების აზრს, რომ მიზანშეწონილია გაიმართოს მსოფლიოს კომუნისტური და მუშათა პარტიების ჯერიმადგენელთა ახალი საერთაშორისო თათბირი ახლანდელი საერთაშორისო ვითარების კოლექტიური ანალიზისა და იმპერიალისტური რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო გეზის შემუშავების მიზნით.

ჩვენ ვაჯაბა რა სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში ქვეყნის მიღწევების შედეგები, ი. ცედენბალმა აღნიშნა, რომ მეხუთე ხუთწლედის ძირითადი სოციალურ-ეკონომიური ამოცანები წარმატებით შესრულდა. ერთობლივი სიზოგადოებრივი პროდუქტის წარმოების მოცულობა გაიზარდა 44,5 პროცენტით, ეროვნული შემოსავალი — 38 პროცენტით. განსორციელდა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და ცხოვრების კულტურული დონის ამაღლების დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებები.

ქვეყნის განვითარების მიღწეული დონე საშუალებას გვაძლევს ჩვენი ეკონომიკისა და კულტურის განვითარების ახალი დიდმნიშვნელოვანი ამოცანები დავსახოთ მომავალი ხუთწლეულისათვის.

ახალი ხუთწლედის მანძილზე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური განვითარების მთავარი ამოცანა ის არის, რომ უზრუნველყოთ საზოგადოებრივი წარმოების შემდგომი აღმავლობა, ეფექტიანობის გადიდება, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში, ამ საფუძველზე ხალხის ნატერიალური კეთილდღეობის გუმჯობესებისა და კულტურული დონის განუხრელი ამაღლების მიღწევა.

პარტიის აგრარული პოლიტიკა მიზნად ისახავს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტაბილური ზრდის უზრუნველყოფას, კოოპერაციული წყობილების ყოველნაირ განმტკიცებას და სოფლად სოციალისტური საწარმოო ურთიერთობის სრულყოფას, სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების შემდგომ აღმავლობას.

ბოლოს ი. ცედენბალმა მოხსენება დაასკვნა ასეთი სიტყვებით: „ჩვენ ვაჯაბა ვართ, ამ ეპოქალურ ღონისძიებებზე ბრძოლა, ოფლი, ენერგია, ნებისყოფა, ენთუზიაზმი, ცოდნა, ოსტატობა, ერთგულება, ინტერნაციონალიზმი, ერთგულ-ინტერნაციონალიზმ, ერთგულ-ინტერნაციონალიზმ, ერთგულ-ინტერნაციონალიზმ

ისტორიკოსთა შთაგონების წყარო

უფრო ღრმად შევისწავლოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თეორია და ისტორია, პარტიის XXV ყრილობის მასალები

როგორც ცნობილია, სკკპ XXV ყრილობის მიერ დამტკიცებული „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებანი“ საზოგადოებრივ მეცნიერებათა სხვა იმოცანებთან ერთად თვალისწინებს გაგრძელდეს მუშაობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის მსოფლიო ისტორიული გამოცდილების მეცნიერული განზოგადებისათვის.

„სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად პარტიული სწავლების იმოცანების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ ამ დღეებში მიღებულ დადგენილებაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პარტიის თეორიისა და პოლიტიკის შესწავლას შათ ორგანულ ერთიანობაში, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საერთაშორისო საქმიანობასთან, იდეოლოგიურ ბრძოლასთან მჭიდრო კავშირით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული გამოცდილების, თეორიისა და პრაქტიკაში იმ შემოქმედებითი წვლილის ღრმა შესწავლის საკითხებს, რომელსაც სკკპ XXV ყრილობის მასალები, ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლები შეიცავს, მიეძღვნა სკკპ ისტორიისა და პარტიული მშენებლობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის კოორდინაციის რესპუბლიკური საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ ისტორიის ინსტიტუტში — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალში გაიმართა.

სხდომაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების ხელმძღვანელები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების გამგე, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი შ. დოდელია, თელავის გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სკკპ ისტორიის კათედრის გამგე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი ი. ლოქოკელი, ბათუმის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სკკპ ისტორიისა და პოლიტეკონომიის კათედრის გამგე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი ი. ჯაფელი, საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარული სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის სკკპ ისტორიის კათედრის გამგე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი ვ. რეხვიაშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საბჭრეთ ოსეთის სამეცნიერო ცენტრი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ვ. ცხოვრებოვი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა სამეცნიერო ინფორმაციის სექტორის დირექტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ი. მირცხულავა, სოხუმის ორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სკკპ ისტორიის კათედრის გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ი. არღუნი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული კა[illegible]ის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერული კომუნიზმის სექტორის გამგე, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი რ. ბალანჩივაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვ. მერკვილაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი თ. ჯაფარელი.

სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა შორის, ხაზგასმით აღინიშნა სხდომაზე, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიას, რომელიც განაზოგადებს ჩვენ პარტიის რევოლუციური მოძრაობის, ორგანიზატორული, პოლიტიკური და თეორიული საქმიანობის გამოცდილებას. პარტიის ისტორია ახალი საზოგადოების მშენებელთა შთაგონების წყაროა.

ამ ბოლო დროს პარტიის ისტორიის მკვლევარებმა შექმნეს მნიშვნელოვანი მონოგრაფიები, ნაშრომები, რომლებმაც გაამდიდრეს ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია. მაგრამ, სამწუხაროდ, აღნიშნეს ორატორებმა, ამასთან ერთად დღემდე არის შემთხვევები, როცა უშვებენ წიგნებსა და ბროშურებს, რომლებშიც წამოყენებული პრობლემები დაბალ იდეურ-თეორიულ დონეზეა გაშუქებული. მთელი რიგი ნაშრომები აღწერილობითია. კომპილაციური ხასიათისაა, მნიშვნელოვან მეცნიერულ განზოგადებებს არ შეიცავს. პარტიის ყველა ისტორიკოსს ჯერ ბოლომდე ვერ გაუაზრებია და ვერ გამოუტანია დასკვნები პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან, რომელიც ისტორიულია ჩვენი რესპუბლიკისათვის, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებიდან. ჯერ კიდევ სათანადოდ არ შუქდება თანამედროვე პირობებში რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ეფექტიანი ფორმები და მეთოდები, საქართველოს კომპარტიის უკომპრომისო ბრძოლა პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების ყველა დარღვევის წინააღმდეგ.

სხდომაზე გააკრიტიკეს ბევრი უმაღლესი სასწავლებლის სკკპ ისტორიის კათედრების მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის ორგანიზაციასა და დაგეგმვაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები.

დღეს იდეოლოგიური ფრონტის ყველა მუშაკისათვის და განსაკუთრებით პარტიის ისტორიკოსებისათვის, აღნიშნეს გამოსულებმა, უმნიშვნელოვანესი, უპირველესი ამოცანაა სკკპ XXV ყრილობის მასალების ღრმა და ყოვლისმომცველი შესწავლა, რათა ყრილობის იდეები თვითეულ კომუნისტს, თვითეულ საბჭოთა ადამიანს გააცნონ. ჩვენი რესპუბლიკის პარტიის ისტორიკოსები ეალდებული არიან თავიანთი წვლილი შეიტანონ სკკპ XXV ყრილობის მასალების და, პირველ ეტაპზე, პარტიის XXV ყრილობაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების იმ თეორიულ დებულებათა პროპაგანდის საქმეში, რომლებიც მარქსიზმ-ლენინიზმისა და მეცნიერული კომუნიზმის საგანძურში შევიდა.

სხდომის მონაწილეებმა გააანალიზეს 1976 წელს სკკპ ისტორიისა და პარტიული მშენებლობის დარგში მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის გეგმები, შეიმუშავეს რეკომენდაციები. დამტკიცდა სკკპ ისტორიისა და პარტიული მშენებლობის დარგში მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის კოორდინაციის რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმისა და სექციების შემადგენლობა. (საქინფორმი).

„ზამარჯობა, ნია-გრუზინსკაია!“

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ასეა დასათაურებული „ირკუტსკაია პრავდის“ კორესპონდენტის ა. ხარიტონოვის მხატვრული ნარკვევი, რომელიც ქართველი ბამელების შემართების, გმირობის, პატრიოტობის ამბავს მოუთხრობს მკითხველებს.

ჟურნალისტი გულთბილად იხსენიებს ბევრ ქართველ ახალგაზრდას და აჭიას მათ. ესენი არიან ზესტაფონის, თერჯოლის, საჩხერის და ორჯონიკიძის რაიონების წარმომადგენლები.

ნარკვევის ავტორი განსაკუთრებით მოუხიბლავს ქართულ ეროვნულ სამზარეულოს ზრავალფეროვნებას, მისი შეფმზარეულის ხელოვნებას. აი, ეს სტრიქონები:

„საღილობის დროც მოახლოდა. ჩვენ ყველანი უკლებლივ ზავედით კაფე-რესტორანში. მზარეული ავთანდილ მაღლაკელიძე ღიმილით შემოგვეგება — ისე, როგორც ძველი მეგობრები ხვდებიან ხოლმე ერთმანეთს. თან შეწუხდა — რომ მცოფნოდა ასეთი სტუმრები გვეწვეოდნენ, უკეთესად გაგიმასპინძლდებოდითო...“

ავთანდილი ზესტაფონელი ბაბუკია. საშუალო სკოლის შემდეგ თბილისის კულინარული სასწავლებელი დაამთავრა. როგორც საუკეთესო სპეციალისტი, დედაქალაქის ერთ-ერთ რესტორანში მიიწვიეს სამუშაოდ. მაგრამ მას უფრო დიდი, რომანტიკული ცხოვრება იზიდავდა. სურვილი აუსრულდა. მეკვლე თვეი იგი ბამის ქართველ მშენებლებს უმასპინძლდება ეროვნული კერძებით და მარჯვენის შესაქებარ სიტყვებსაც იმსახურებს.

ო. ნიკაბაძე.

□

მათი სახელი უკვდავია

ქედა. (საკ. კორ.). დიდ სამამულო ომში შეიდასი ქედელი იბრძოდა. აქედან 370 მშობლიურ კუთხეს ველარ დაუბრუნდა. მათ უკვდავსაყოფად ახლახან ქედაში დიდების ობელისკი გაიხსნა.

ძეგლის გახსნასთან დაკავშრებით მიტინგზე გამოვიდნენ პარტიის ქედის რაიკომის პირველი მდივანი ა. თავდგირიძე, პოეტი ფ. ხალვაში, ომის ვეტერანები ა. გვარიშვილი, ზ. ჩიტეიშვილი, ი. სტაროველოვი, წვეულმდელი რ. ხაბაზი, შინმოუსელელის დედა ა. გათენაძე.

მ. ბორგილაძე.



სურათზე: ქედის ცენტრში აგებული შინმოუსვლელთა ობელისკი.

აკ. გათენაძის ფოტო.

მიეძღვნა დიდ მეცნიერს

დუშეთი. (საკ. კორ.). დიდი ქართველი მეცნიერის ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა თეორიული კონფერენცია, რომელიც საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნამ“ და პარტიის დუშეთის რაიკომმა მოაწყეს.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა პარტიის დუშეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. გამრეკელმა.

მოხსენება „ივანე ჯავახიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“ — წაიკითხა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. სურგულაძემ, „ივანე ჯავახიშვილი და ფეოდალური საქართველოს ისტორიის საკითხები“ — ასეთი იყო ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ მ. ლორთქიფანიძის მოხსენების თემა. „ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს არქეოლოგია“ — ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ ენეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ა. აფაქიძე.

კონფერენციაზე მოგონებით გამოვიდა ს. ჭელიძე საქართველოს სსრ დამსახურებული ხელოვნების მოღვაწე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი კ. კასრაძე.

ა. თომაძე.

□

ახალი ავტოსადგომი

ბათუმი. (საკ. კორ.). გორკის ქუჩაზე, ზღვისპირას, ბათუმის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველომ კეთილმოწყობილი ფასიანი, სადღეღამისო ავტოსადგომი გახსნა, რომელიც 250 ავტომანქანას იტევს.

ეს არის მეორე დიდი ავტოსადგომი, რომელიც ამ ბოლო დროს საექსპლოატაციოდ გადასცეს ბათუმში.

ხალხის ნება

გვესაუბრება საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე კოლეგი ი. ონოფშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზედიზედ მეოთხე ათწლეულია, რაც საბჭოთა ადამიანები მშვიდობის პირობებში ცხოვრობენ. პარტიისა და ხალხის ამ უდიდეს მიღწევას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, განამტკიცებს იმის რწმენას, რომ შეიძლება წარმატებით დავიცვათ ქვეყნად მშვიდობა, ვიხსნათ კაცობრიობა ახალი ომის საფრთხისაგან.

„მშვიდობის გაუმჯობესებისა და განმტკიცებისათვის, — აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო კონგრესის ტრიბუნიდან, — თავის ბრძოლას საბჭოთა ხალხი აწარმოებს ერთგულ მეგობრებთან და თანამოაზრეებთან — სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან ერთად“.

საბჭოთა კავშირის მიზანდასახული საგარეო პოლიტიკისა და იმის მეოხებით, რომ წარმატებით ხორციელდება მშვიდობის პროგრამა, რომელიც სკკპ XXIV ყრილობამ შეიმუშავა და მხარი დაუჭირეს მომავე სოციალისტურმა ქვეყნებმა, მთელმა პროგრესულმა ძალებმა, საერთაშორისო ურთიერთობის განვითარებაში უკანასკნელი წლების მანძილზე არსებითი გარდატეხა იგრძნობა.

ჰუმანიზმის იდეებით არის განმსჭვალული სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი მის მიერ გამოცხადებული ხალხთა მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამა.

ამ დღეებში მთელ საბჭოთა კავშირში მიმდინარეობს ხელმოწერა გამაღლებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, განიარაღებისათვის მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სტოკჰოლმის ახალ მოწოდებაზე.

გამაღლებული შეიარაღება — აი მთავარი, რაც ხელს გვიშლის, რომ დაძაბულობის შენელება შეუქცევადი გავხადოთ. იგი ჯერ კიდევ შეიცავს ატომური კატასტროფის საფრთხეს. დაძაბულობის შენელებამ შეასუსტა ეს საფრთხე, მაგრამ გამაღლებულმა შეიარაღებამ შეიძლება შეაფერხოს დაძაბულობის შენელების პროცესი.

დაძაბულობის შენელება, ხაზგასმულია მოწოდებაში, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, სამართლიანობისა და სოციალური პროგრესისათვის ყველა ქვეყნის ხალხთა ბრძოლის განვითარების უდიდესი ფაქტორია.

სტოკჰოლმის მოწოდებას უკვე მოაწერა ხელი ბევრმა საჭმოთა ადამიანმა. ამით ისინი ადასტურებენ, რომ მთლიანად იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, დიდად აფასებენ ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმეში უდიდეს წვლილს, რომელიც შეაქვთ ჩვენს ლენინურ პარტიას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პირველად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს.

ამ დღეებში საქართველოს სს რესპუბლიკაში იწყება სტოკჰოლმის მოწოდებაზე ხელმოწერა. იგი გაიმართება მიტინგებსა და კრებებზე, საწარმოთაბის, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებში, დაწესებულებებში, ადგილთა საკრებულო ადგილებში, სადაც შექმნილი ხელშეწყობის საზოგადოებრივი კომიტეტები. ჩვენი რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, რომელსაც 16 წელი შეუსრულდა, შეუძლია ხელი მოაწეროს ამ ისტორიულ დოკუმენტს.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოწოდებაზე ხელმოწერის კამპანიის მოწყობა სსრ კავშირში, უეჭველია, კიდევ უფრო გააძლიერებს სამშვიდობო მოძრაობის ბრძოლას გამაღლებული შეიარაღების წინააღმდეგ, განიარაღებისათვის, სკკპ XXV ყრილობის მიერ მიღებული ხალხთა მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამის დებულებების განსახორციელებლად.

(საქინფორმი).

უცხო ნაპირზე

ერთი შეხვედრის ქვალდაქვალ

ფოთის საოკეანო თევზჭერის სამმართველოს თევზის საყინულმა ტრალერმა „თბილისმა“ ხანგრძლივი ნაოსნობის შემდეგ ესპანეთის ლას-პალმასის ნავსადგურში ღუზა ჩაუშვა და რეისებს შორის გეგმით გათვალისწინებული რემონტის მოლოდინში რეიდზე დადგა.

გემის რადიოთი გამოაცხადეს, რეისი დამთავრებულია, ტრალერი შესაკეთებლად დგება, მთელ ეკიპაჟს კი შვებულება ეძლევა. ყველას გააცნეს მარშრუტიც: ლას-პალმასიდან თვითმფრინავით გავემგზავრებოდნენ მადრიდში, იქიდან კი პირდაპირ მოსკოვში. ორი დღე ეძლეოდათ ლას-პალმასის დასათვალიერებლად.

...საღამოს ტრალერს ნაპირიდან კატარღა მიადგა და ქალაქიდან დაბრუნებული მეზღვაურთა უკანასკნელი ჯგუფი მიეყანა. კიდევ რამდენიმე საათი მოსამზადებლად, და ეკიპაჟი ჩაჯდება აეროპორტისაკენ მიმავალ ავტობუსში. თვითმფრინავი გარიჟრაჟისას გადის.

— ყველანი აქ არიან?

ხანმოკლე შემოწმების შემდეგ გამოირკვა, რომ ნაპირიდან არ დაბრუნებულან ორნი — მოტორისტი ალექსანდრე ხოფერია და მეორე კლასის მატროსი პავლე ჩიგოვეი.

გემზე შემფოთდნენ, იქნებ სადმე გზა აებნათ და ვეღარ მოუსწრეს უკანსკნელი კატარღის გასვლას? ჯადაწყვიტეს ისევ გაეგზავნათ კატარღა. ჩასხდნენ გემის კაპიტანი და მისი თანაშემწე. გადავიდნენ ცარიელ ნავმისადგომზე, რომელსაც ლუმინაციური ფარნების მკრთალი შუქი ანათებდა. ნახევარ საათს იცადეს — არავინ მოსულა. კაპიტანმა მორიგე პოლიციელი მოძებნა, ჰკითხა ესპანურად, ჯგუფს ჩამორჩენილი ორი საბჭოთა მეზღვაური ხომ არ შეგიმჩნევიათო. პოლიციელმა თავაზიანად უპასუხა:

— არა, არ მინახავს. იქნებ საავადმყოფოში მოხვდნენ ან პოლიციაში? მოვიკითხოთ.

დაურეკეს საავადმყოფოს. იქიდან აცნობეს, საღამოს განმავლობაში აქ არავინ მოუყვანიათო.

დაუკავშირდნენ ლას-პალმასის პოლიციას. ყურმილი მორიგე პოლიციმენმა აიღო, შეკითხვა მოისმინა და უყოყმანოდ უპასუხა:

— უბანში არცერთი საბჭოთა მეზღვაური არ არის. დაგეხმაროთ ძებნაში? ამას მხოლოდ ხვალ დილით შევძლებთ, რიგა უფროსობი მოგელენ.

...დილის ოთხ საათზე კი ნავმისადგომიდან აეროპორტისაკენ ავტობუსი დაიძრა. გარიჟრაჟისას მთელი ეკიპაჟი მადრიდის გავლით მოსკოვს გაფრინდა. მთელი ეკიპაჟი, გარდა იმ ორისა, რომლებიც ვერა და ვერ იპოვეს.

ტრალერ „თბილისის“ დაკარგულ მეზღვაურთა ძებნის მთელი სახურნავი ლას-პალმასში ფოთის საოკეანო თევზჭერის სამმართველოს წარმომადგენლებს დაეკისრათ. მათ, თავის მხრივ, იმედი ჰქონდათ, რომ „პოლსუარდიასის“ კომპანია და ლას-პალმასში მყოფი სხვა თევზსაჭერი გემების ეკიპაჟები დაეხმარებოდნენ.

...მადრიდიდან მოსკოვში გასული თვითმფრინავი შუა ჯზაზიც კი არ იკო, რომ ტრალერ „თბილისის“ ორ დაკარგულ მეზღვაურს ლას-პალმასის პოლიციის უბნის წინასწარი პატიმრობის ვიწრო საკანში გამოეფინა.

ალექსანდრე ხოფერიას მაშინვე გაახსენდა უსიამოვნო ამბავი, რომელიც ზუსელ შევმთხვათ. განსაკუთრებით ნათლად წარმოიდგინა ის საბედისწერო წუთი, როცა ჯიბეები ამოიბრუნა და დარწმუნდა, რომ ბარმენის მიერ წარდგენილი ანგარიშის გასასტუმრებლად მას და მის მეკობარ პავლეს სამოცდაათი პესეტი აკლდათ.

ნუთუ ამით დაიწყო ყველაფერი? თუ არა, მაშ რით?

იქნებ, იმით, რომ იგი და პავლე მთელ ჯგუფს ჩამორჩნენ და ბარებს ჩამოუარეს, სანამ ამ ოხერ დუქანში, ამ წყეულ ბარმენთან არ ამოყვეს თავი? იქნებ, ყველაფერი ჯერ კიდევ გუშინწინ დაიწყო, როცა მან გემის ელექტარული წესები დაარღვია და თვითნებურად გადავიდა ნაპირზე? ნაპირი ხომ უცხო იყო! და იგი არათუ თვითნებურად წავიდა უცხო ნაპირზე, არამედ იმდენი ბარიც მოიარა, რომ, გემზე დაბრუნებულს, ვახტზე დადგომის თავიც კი არ ქონდა სამანქანო განყოფილებაში!...

ან, ბოლოს, იქნებ ყველაფერი იმით დაიწყო, რომ რომელიღაც დუქანში ათას პესეტად გაყიდა თავისი ფოტოაპარატი, რითაც კვლავ დაარღვია ნაბეთოთ მეზღვაურების წესჩვეულება?

ბოლოს და ბოლოს, რისთვის მოხდა ყოველივე ეს?

ეს კითხვა მთელ ღამეს არ ასვენებდათ ეკიპაჟს ჩამორჩენილ მოტორისტ ხოფერიას და მატროს ჩიგოვეს, ამ ფიქრებში დაათენდათ, პასუხი კი არ იყო... ან იქნებ, გულწრფელად რომ ვთქვათ, არც კი უნდოდათ ეპოვათ ეს პასუხი, ეღიარებინათ, რომ პესეტებისა და ბარმენის კი არა, მათი ბრალი იყო ყველაფერი.

დილით საკნიდან ჯამოიყვანეს და დაკითხვაზე წაიყვანეს.

საბჭოთა მეზღვაურების დასაკითხად ორნი მოვიდნენ: ერთს პოლიციელის ფორმა ეცვა, გვერდზე პისტოლეტი ეკიდა, მეორე სამოქალაქო ტანსაცმელში იყო. რამდენიმე წუთის შემდეგ კაბინეტში კიდევ ორნი შემოვიდნენ, ორივეს სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა, მეზღვაურებს რუსულად მიესალმნენ. შემდეგ წარუდგინეს: ჩვენ თარჯიმნები ვართო.

თარჯიმნებმა მაშინვე თქვეს, რომ ერთი მათგანი ესპანეთში რუმინული ხომალდიდან გაქცეულიყო, მეორე კი ბულგარეთიდან. და მაშინვე, თუმცა ეს არავის უკითხავს, განაცხადეს:

— აქ კარგად მოვეწყვეთ. სამუშაოთი და ცხოვრებით კმაყოფილი ვართ.

ხოფერიასაც და ჩიგოვესაც გაუკვირდათ. მაგრამ უკვე მეორე კაბინეტში. თარჯიმანიც სულ სხვა იყო. თარჯიმნად ესპანელი მოეყვანათ, რომელიც საკმაოდ კარგად ლაპარაკობდა რუსულს.

— ნუ გეშინიათ! ესპანეთში კარგად იქნებით. მთავარია, სწორად მოიქცეთ, მაშინ არაფერი არ მოგაკლდებათ!

ჯერჯერობით კი მათ მისცეს რუსულ ენაზე შედგენილი თითო დიდი ანკეტა, რომლებშიც მრავალი კითხვა იყო, და უთხრეს:

— პასუხი გაეცით კქელა კითხვაზე! რომელიმე კითხვის გამოტოვება აკრძალულია!

საოცარი ანკეტა იყო. საოცარი და ამასთან მეტად თავხედურიც. თუ ანკეტის კითხვებით ვიმსჯელებთ, ამ გულმოდგინე პოლიციელებს მეტისმეტად ბევრის გაგება სურდათ. სახელის, მამის სახელია, გვარის, დაბადების თარიღის შესახებ ჩვეულებრივი კითხვების შემდეგ საჭირო იყო ჩაეწერათ, ჰკადათ თუ არა მშობლები, და-ძმა, ცოლი, შვილები, რამდენ ხელფასსა თუ პენსიას იღებენ ისინი, რა და რა ადგილას უმუშავიათ, რამდენი მუშა-მოსამსახურე იყო იქ, რა ხელფასი აქვთ, რა პროდუქციას უშვებს საწარმო, მომდევნო კითხვების სერია სამხედრო სამსახურს ეხებოდა, უნდა დაესახელებინათ ნაწილი, მეთაურთა გვარები, ისიც კი უნდა აღენიშნათ, თუ როგორ არის შეიარაღებული ის ნაწილი...

ბუნებრივია, რომ საბჭოთა მეზღვაურებმა ანკეტის პირველი კითხვების შემდეგ აღარ უპასუხეს სხვა კითხვებს. ამან პოლიციელები გააცეცხლა:

— უნდა უპასუხოთ ყველა კითხვას, თორემ დაგსჯით! მაშინ კი რუსებს საერთოდ ვეღარ ეღირსებით!

საღამოთი გამოუცხადეს:

— ხვალ დილით, მადრიდში გგზავნიან.

მშვიდობით ლას-პალმასო! ყველაფრით კარგი ნავსადგური ხარ, ასეთი პოლიცია რომ არ გყავდეს! ეჰ...

მაგრამ რაღა აზრი აქვს იმაზე ფიქრს, თუ რა მოხდებოდა, რომ არ მომხდარიყო ის, რაც მოხდა. დიახ, მათ დანაშაული ჩაიდინეს, მაგრამ ახლა უნდა იბრძოლონ სამშობლოში დაბრუნების უფლებისათვის, საბჭოთა მეზღვაურების ოჯახში დაბრუნების უფლებისათვის, მაშინ გამოისყიდიან თავიანთ დანაშაულს. ჯერჯერობით კი...

ჯერჯერობით კი მოიყვანეს მადრიდში, შეიყვანეს კაბინეტში, რომელსაც წარწერილი ჰქონდა „ჯგუფი-4ა“. ოთახში ხუთი პოლიციელი იყო. მეექვსე მათ თარჯიმანად გაეცნო.

— შეგიძლიათ ფრანცისკო დამიძახოთ.

კეთილი, ფრანცისკო იყოს. მათ მხოლოდ ერთი შეკითხვა აქვთ:

— როდის მოგვეცემა [illegible]ებთან შეხვედრის შესაძლებლობა?

მაგრამ მაშინვე ცხადი გახდა, რომ ფრანცისკო შემთხვევითი პირი არ იყო ესპანეთის პოლიციაში, იგი უბრალო თარჯიმნის როლს არ ასრულებდა. თარჯიმნობა მისი მეორე პროფესიაა. პირველი და მთავარი ხელობა კი პროვოკატორობაა. ეს დადასტურეს მისმა პირველმავე სიტყვებმა:

— თქვენი ბედი არავის არ აწუხებს. არავინ არაფერს არ კითხულობს. ჯერ არავინ არ გეძებთ და კარგს იზამთ, თუ ესპანეთში დარჩებით სამუდამოდ!

მაგრამ ნუთუ ასეთი მიამიტები არიან პოლიციელები, როცა იმედი აქვთ, რომ საბჭოთა მეზღვაურმა არ იცის ანბანური ჭეშმარიტება: საბჭოთა სახელმწიფო არასოდეს არ მიატოვებს ხსნის ნაპირზე უბედურებაში მოხვედრილ თავის შვილს!

ყველა-ყველა, და პოლიციელს მიამიტობს ვერ დასწამებ. პირიქით! მუქარითა და დაპირებებით, დაშინებითა და დაყოლიებით ისინი ცდილობენ, სანამ დროა, სამშობლოსთვის აღალატებინონ უბედურებაში ჩავარდნილ მეზღვაურებს.

როცა ერთბაშად ვერაფერს მიაღწიეს, მათ ტაქტიკა შეეცვლა. მეზღვაურები პოლიციის უბნის სხვადასხვა საკანში ჩასხეს და სათითაოდ დაუწყეს დამუშავება.

ალექსანდრე ხოფერიას სუფთა ფურცელი მისცეს და უთხრეს:

— დაწერე, რომ ითხოვ ესპანეთის მოქალაქეობას! ისიც დაწერე, რომ შეწყნარებულ [illegible]ებს! ისიც დაწერე, რომ შეწყნარებულ [illegible]ებს! ისიც დაწერე, [illegible]

— [illegible] ესპანეთის ხელისუფლებ[illegible] ამას არ სთხოვ, საბჭოთა წარმომადგენლებთან არ შეგახვედრებთ.

ამასობაში ესპანეთის პროგრესულ პრესაში დაიბეჭდა მასალები, რომლებშიც მოითხოვდნენ გაეთავისუფლებინათ უკანონოდ დაკავებული საბჭოთა მეზღვაურები.

მაგრამ ხოფერიამ და ჩიგოვემა არაფერი იცოდნენ. ისინი ერთს ფიქრობდნენ: როგორმე მიეღოთ თავისიანებთან შეხვედრის უფლება. და კიდევ ერთი აზრი უტრიალებდათ თავში — ეპატიებს თუ არა სამშობლო იმას, რომ უცხო ქვეყანაში საბჭოთა მეზღვაურისათვის უღირსი საქციელით ჩრდილი მიაყენეს მას?

და ისევ მთელი სიგრძე-სიგანით წარმოუდგათ ამ ამბის ნამდვილი მიზეზი, რომელიც მათთვის ესოდენ ტრაგიკული ჯაჭდა.

სმირნოვი რომ ვთქვათ, ხოფერია წინათაც სცოდავდა. და განა მარტო იგი? ტრალერზე იყვნენ სხვა ეკიპაჟი მეზღვაურებიც, რომლებიც არ თაკილობდნენ იმას, რაც საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსით ისჯება.

ახლა კი ადამიანებისათვის, რომლებმაც დისციპლინისადმი, კანონებისა და წესებისადმი უპატივცემულობა გამოიჩინეს საბჭოთა გემზე (შშობლიური გემი ხომ შშობლიურის მიწის ნაწილია, იმ უდიდესის ნაწილია, რასაც საშშოზლოს ქვია), ასჯერ უფრო მძიმე იყო პოლიციის განყოფილებაში ეძრძოლათ შექმნილ ვითარებაში თავისი ბედისათვის. ღირსებისა და სახელისათვის, სამშობლოში დაბრუნების უფლებისათვის.

მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ მადრიდში ისინი ჩვეულებრივი პოლიციის განყოფილებაში კი არ აღმოჩნდნენ, არამედ — უცხოელთა საქმეების სპეციალურ პოლიციურ დაწესებულებაში ამოყოფინეს თავი. და აქ მომუშავე საიდუმლო პოლიციის თანამშრომლები გაცილებით უფრო გამოცდილი და ვერაგები იყვნენ. ვიდრე მათი პროვინციელი ლასპალმასელი კოლეგები.

ისინი დიდ იმედს ამყარებდნენ მადრიდში მცხოვრებ ემიგრანტებზე. თარჯიმანმა ფრანცისკომ ალექსანდრე ხოფერია შეახვედრა ემიგრანტს, ვინმე ვლადიმერ პავლეს-ძეს, დაპირდა, რომ იგი ყველაზე უფრო დაიხმარებოდა მადრიდში საბჭოთა წარმომადგენლების პოვნაში.

სწორედ ამ თხოვნით მიმართა ხოფერიამ ალექსანდრე პავლეს-ძეს.

იმან კი გულახდილად უპასუხა:

— რაც არ ვიცი, არ ვიცი. არც მინდა ვიცოდე. მე თქვენს საბჭოლებთან არაფერი საერთო არა მაქვს.

მაშ რისთვის გაიცნო ფრანცისკომ ვლადიმერ პავლეს-ძე?

ალექსანდრე ხოფერიას დიდხანს არ მოუწია ამ კითხვაზე თავის ტეხა. მისთვის კეკლაფერი ნათელი გახდა, როცა ვლადიმერ პავლეს-ძემ უთხრა:

— რატომ არ გინდათ აქ დარჩეთ? არც ფფერეთო რუსეთში დაბრუნებაზე! იქ თქვენ ციხე და გადასახლება გელოდ. აქ კი კარგად, ძალიან კარგად მოეწყობით. თუ გინდათ, მე მოგიბრუნებთ შუხვედრას ამერიკის საელჩოს მუშაკებთან. ისინი ყველაფერს გაგიკეთებენ, რაც გსურთ.

აი რა უფიქრია, რა განუზრახავს ვლადიმერ პავლეს-ძეს! ესეც ფრანცისკოსავით ფიქრობს! ესენი ყველანი ერთი ჯურისანი არიან!

უცნაურია, მაგრამ სუბარი, რომელიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, ეკრძო ხასიათისა იყო, მეორე დღეს განაგრძეს სუბიექტურში, თითქოს რომელიღაც პოლიციელი აყურადებდა, ჩაეძინებინა, პირიქით, უკარნახებდა მათ ამ საუბარს.

როგორც კი მეზღვაურებმა ისევ გაესაუბრნენ, რომ საბჭოთა წარმომადგენლებთან შეხვედრა სურთ, თითქმის სიტყვასიტყვით გაუმეორეს კველაფერი, რაც წინა დღეს ფრანცისკომ და იმ ვლადიმერ პავლეს-ძემ თქვა.

— თქვენ სხვა გზა არა გაქვთ. ესპანეთში უნდა დარჩეთ. შეეცადონ საერთო ენა გამონახოთ ამერიკის საელჩოს ხალხთან. თუ შინ დაბრუნდებით, თქვენც და თქვენს ნათესავებსაც დაპატიმრებენ, ციმბირში გიკრავენ თავს. თუ აქ დარჩებით — არხეინად იცხოვრებთ.

ისევ ის მოსაბ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲣᲜᲐᲚᲝ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ 1976-1977 ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

I. თბილისის პოლიტექნიკურ ტექნიკუმში (უ. ჩხეიძის ქ. № 8).

დღის განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: 1. კერამიკის ტექნოლოგია, 2. არაორგანულ ნივთიერებათა და ქიმიური სასუქების ტექნოლოგია, 3. არქიტექტურა, 4. სამრეწველო და სამოქალაქო შენებლობა, 5. საავტომობილო გზების შენებლობა და ექსპლოატაცია.

დაუსწრებელი განყოფილების შემდეგ სპეციალობაზე: სამრეწველო და სამოქალაქო შენებლობა.

II. თბილისის შრომის წითელდროშოვანი მანქანათმშენებლობის ტექნიკუმში (ამოს ქ. № 70).

დღის განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: 1. სამრეწველო საწარმოთა და დანადგარების ელექტრომოწყობილობა; 2. ლითონების ჭრით დამუშავება, 3. შედუღების წარმოების ტექნოლოგია; 4. თვითმფრინავმშენებლობა; 5. ელექტრომანქანათმშენებლობა; 6. რადიოაპარატურათმშენებლობა; 7. ელექტრული გამომთვლელი მანქანები, ხელსაწყოები და მოწყობილობა.

საღამოს განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე; 1. ლითონების ჭრით დამუშავება; 2. თვითმფრინავმშენებლობა; **დაუსწრებელი განყოფილების შემდეგ სპეციალობაზე:** ლითონების ჭრით დამუშავება.

III. თბილისის მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმში (ქერჩის ქ. № 6) ლენინის რაიონი).

დღის განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: 1. საფეიქრო მრეწველობის მანქანები და მოწყობილობა, 2. ქსოვის წარმოება; 3. სამკერვალო წარმოება 4. ტყავის ნაწარმის ტექნოლოგია; 5. შალის დართვის წარმოება; 6. საფეიქრო მრეწველობის საწარმოთა დაგეგმვა; 7. ქსოვილების გამოყენება.

საღამოს სწავლების შემდეგ სპეციალობებზე: 1. ტყავის ნაწარმის ტექნოლოგია; 2. ქსოვის წარმოება; 3. სამკერვალო წარმოება.

IV. ი. გოგებაშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ სასწავლებელში (ალ. ჰავჰავაძის ქ. № 19).

დღის განყოფილების შემდეგ სპეციალობაზე: 1. სკოლამდელი აღზრდა.

V. თბილისის სამრეწველო-ეკონომიურ ტექნიკუმში (ქავთარაძის ქ. № 16).

დღის განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: 1. საქმის წარმოების ორგანიზაცია; 2. საბუღალტრო აღრიცხვა; 3. დაგეგმვა მშენებლობაში; 4. აღრიცხვისა და გამოთვლითი სამუშაოების მექანიზაცია; 5. მანქანათმშენებლობის მრეწველობის საწარმოთა დაგეგმვა; 6. სასტუმროების მეურნეობა; 7. იურიდიული; 8. სამართალმცოდნეობა და აღრიცხვა სოცუზრუნველყოფის სისტემაში; 9. საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა დაგეგმვა.

დაუსწრებელი განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: 1. საბუღალტრო აღრიცხვა სოცუზრუნველყოფის სისტემაში.

VI. თბილისის ინდუსტრიულ-ტექნიკუმში (თემქის დასახლება, მე-2 მიკრო რაიონი).

დღის განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: 1. სამრეწველო საწარმოთა თბოტექნიკური მოწყობილობა; 2. ნავთობისა და გაზის ჰიდროდამამუშავებელი ტექნოლოგია, 3. გაზის მეურნეობა; 4. სამრეწველო და სამოქალაქო შენებლობა; 5. შენობების სანტექნიკური მოწყობილობა; 6. ავტომობილების ტექნიკური მომსახურება და რემონტი; 7. საავტომობილო ტრანსპორტის ექსპლოატაცია.

დაუსწრებელი განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: 1. სამრეწველო საწარმოთა და დანადგარების ელექტრომოწყობილობა; 2. ავტომშენებლობა, 3. ლითონების ჭრით დამუშავება.

VII. თბილისის საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმი (პიონერის ქ. № 10).

დღის განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: 1. ვაჭრობის და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მანქანები და მოწყობილობა; 2. სამაცივრო-საკმაპრესორო მანქანები და დანადგარები; 3. საქმლის მომზადების ტექნოლოგია; 4. საქონელმცოდნეობა და სამრეწველო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაცია; 5. საქონელმცოდნეობა და სასურსათო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაცია; 6. საბუღალტრო აღრიცხვა ვაჭრობაში;

დაუსწრებელი განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: 1. საქმლის მომზადების ტექნოლოგია; 2. საქონელმცოდნეობა და სამრეწველო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაცია; 3. საქონელმცოდნეობა და სასურსათო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაცია; 4. საბუღალტრო აღრიცხვა.

VIII. რუსთაველის პოლიტექნიკურ ტექნიკუმში (გაგარინის ქ. № 25).

დღის განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: 1. სამრეწველო საწარმოთა და დანადგარების ელექტრომოწყობილობა; 2. ფოლადის წარმოება; 3. გლინვის წარმოება; 4. ლითონების ჭრით დამუშავება; 5. მეტალურგიული ქარხნების მოწყობილობა; 6. ელექტრული გამომთვლელი მანქანები, ხელსაწყოები და მოწყობილობა; 7. ავტომატურ მოწყობილობათა ექსპლოატაცია მეტალურგიაში; 8. არაორგანულ ნივთიერებათა და მინერალური სასუქების ტექნოლოგია; 9. ორგანული სინთეზის ტექნოლოგია; 10. ქიმიური ბოჭკოების ტექნოლოგია.

საღამოს განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: 1. სამრეწველო საწარმოთა და დანადგარების ელექტრომოწყობილობა; 2. ლითონების ჭრით დამუშავება; 3. ელექტრონული გამომთვლელი მანქანები, ხელსაწყოები და მოწყობილობა; 4. ორგანული სინთეზის ტექნოლოგია.

IX. ქუთაისის ავტომექანიკურ ტექნიკუმში (რუსთაველის ქ. № 9).

დღის განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: 1. სამამალმცოდნეობა და აღრიცხვა სოცუზრუნველყოფის სისტემაში.

VI. თბილისის ინდუსტრიულ-ტექნიკუმში (ზ. ჩხეიძის ქ. № 8).

დღის განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: 1. კერამიკის ტექნოლოგია, 2. არაორგანულ ნივთიერებათა და ქიმიური სასუქების ტექნოლოგია, 3. არქიტექტურა, 4. სამრეწველო და სამოქალაქო შენებლობა, 5. საავტომობილო გზების შენებლობა და ექსპლოატაცია.

დაუსწრებელი განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: სამრეწველო და სამოქალაქო შენებლობა.

VII. თბილისის შრომის წითელდროშოვანი მანქანათმშენებლობის ტექნიკუმში (ამოს ქ. № 70).

დღის განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: 1. სამრეწველო საწარმოთა და დანადგარების ელექტრომოწყობილობა; 2. ლითონების ჭრით დამუშავება, 3. შედუღების წარმოების ტექნოლოგია; 4. თვითმფრინავმშენებლობა; 5. ელექტრომანქანათმშენებლობა; 6. რადიოაპარატურათმშენებლობა; 7. ელექტრული გამომთვლელი მანქანები, ხელსაწყოები და მოწყობილობა.

საღამოს განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე; 1. ლითონების ჭრით დამუშავება; 2. თვითმფრინავმშენებლობა; **დაუსწრებელი განყოფილების შემდეგ სპეციალობაზე:** ლითონების ჭრით დამუშავება.

III. თბილისის მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმში (ქერჩის ქ. № 6) ლენინის რაიონი).

დღის განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: 1. საფეიქრო მრეწველობის მანქანები და მოწყობილობა, 2. ქსოვის წარმოება; 3. სამკერვალო წარმოება 4. ტყავის ნაწარმის ტექნოლოგია; 5. შალის დართვის წარმოება; 6. საფეიქრო მრეწველობის საწარმოთა დაგეგმვა; 7. ქსოვილების გამოყენება.

საღამოს სწავლების შემდეგ სპეციალობებზე: 1. ტყავის ნაწარმის ტექნოლოგია; 2. ქსოვის წარმოება; 3. სამკერვალო წარმოება.

IV. ი. გოგებაშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ სასწავლებელში (ალ. ჰავჰავაძის ქ. № 19).

დღის განყოფილების შემდეგ სპეციალობაზე: 1. სკოლამდელი აღზრდა.

V. თბილისის სამრეწველო-ეკონომიურ ტექნიკუმში (ქავთარაძის ქ. № 16).

დღის განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: 1. საქმის წარმოების ორგანიზაცია; 2. საბუღალტრო აღრიცხვა; 3. დაგეგმვა მშენებლობაში; 4. აღრიცხვისა და გამოთვლითი სამუშაოების მექანიზაცია; 5. მანქანათმშენებლობის მრეწველობის საწარმოთა დაგეგმვა; 6. სასტუმროების მეურნეობა; 7. იურიდიული; 8. სამართალმცოდნეობა და აღრიცხვა სოცუზრუნველყოფის სისტემაში; 9. საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა დაგეგმვა.

საღამოს განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: 1. სამრეწველო საწარმოთა და დანადგარების ელექტრომოწყობილობა; 2. ლითონების ჭრით დამუშავება; 3. ელექტრონული გამომთვლელი მანქანები, ხელსაწყოები და მოწყობილობა; 4. ორგანული სინთეზის ტექნოლოგია.

დაუსწრებელი განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: 1. სამამალმცოდნეობა და აღრიცხვა სოცუზრუნველყოფის სისტემაში; 9. საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა დაგეგმვა.

IX. ქუთაისის ავტომექანიკურ ტექნიკუმში (რუსთაველის ქ. № 9).

დღის განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: 1. სამამალმცოდნეობა და აღრიცხვა სოცუზრუნველყოფის სისტემაში.

X. ქუთაისის სატყეო-ტექნიკურ ტექნიკუმში (ლენინგრადის ქ. № 50).

დღის განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: 1. ხე-ტყის დამზადების ტექნოლოგია; 2. საავეჯო წარმოება; 3. საავტომობილო გზების შენებლობა და ექსპლოატაცია; 4. სატყეო მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის საწარმოთა დაგეგმვა, 5. ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამუშავებელი მრეწველობის საწარმოთა დაგეგმვა; 6. საბუღალტრო აღრიცხვა.

დაუსწრებელი განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: 1. საბუღალტრო აღრიცხვა; 2. საავეჯო წარმოება.

XI. ქუთაისის სამთო ტექნიკუმში (1905 წლის რევოლუციის ქ. № 2).

დღის განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: 1. მადნეული და არამადნეული საბადოების მიწისქვეშა დამუშავება; 2. სამთო ელექტრომექანიკა; 3. სამრეწველო და სამოქალაქო შენებლობა; 4. შენობის სანტექნიკური მოწყობილობა; 5. სამთო საწარმოთა შენებლობა.

დაუსწრებელი განყოფილების შემდეგ სპეციალობაზე: 1. მადნეული და არამადნეული საბადოების მიწისქვეშა დამუშავება.

XII. მახარაძის კვების მრეწველობის ტექნიკუმში (მშვიდობის ქ. № 8).

დღის განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: 1. კვების მრეწველობის საწარმოთა მანქანები და მოწყობილობა; 2. პურის ცხობის წარმოება; 3. ჩაის ტექნოლოგია; 4. კვების მრეწველობის საწარმოთა დაგეგმვა; 5. საბუღალტრო აღრიცხვა.

XIII. ზუგდიდის პოლიტექნიკურ ტექნიკუმში (სოხუმის ქ. № 2-ა).

დღის განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: 1. დაკოსერვების ტექნოლოგია; 2. ჩაის ტექნოლოგია; 3. საქონელმცოდნეობა, მატერიალურ ტექნიკური მომარაგება და გასაღება, 4. საბუღალტრო აღრიცხვა, 5. სამრეწველო და სამოქალაქო შენებლობა, 6. კერამიკის ტექნოლოგია; 7. ჰიდროტექნიკური შენებლობა, 8. ცელულოზა-ქაღალდის წარმოება, 9. სამშენებლო მანქანებისა და დანადგარების მოწყობილობა.

დაუსწრებელი განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: 1. სამრეწველო და სამოქალაქო შენებლობა; 2. სამშენებლო მანქანები და მოწყობილობა; 3. ჰიდროტექნიკური შენებლობა.

XIV. სოხუმის ინდუსტრიულ ტექნიკუმში (სუბიბშვილის ქ. № 24).

დღის განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: 1. ელექტროსადგურები, ქსელები და სისტემები; 2. სამრეწველო საწარმოთა და დანადგარების ელექტრომოწყობილობა; 3. სადგურების და ქვესადგურების ელექტრომოწყობილობის მონტაჟი; 4. ლითონების ჭრით დამუშავება; 5. სამრეწველო და სამოქალაქო შენებლობა; 6. ავტომობილების ტექნიკური მომსახურება და რემონტი.

საღამოს განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: 1. სამრეწველო საწარმოთა და დანადგარების ელექტრომოწყობილობა; 2. ავტომშენებლობა, 3. ლითონების ჭრით დამუშავება.

X. ქუთაისის სატყეო-ტექნიკურ ტექნიკუმში (ლენინგრადის ქ. № 50).

დღის განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: 1. ხე-ტყის დამზადების ტექნოლოგია; 2. საავეჯო წარმოება; 3. საავტომობილო გზების შენებლობა და ექსპლოატაცია; 4. სატყეო მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის საწარმოთა დაგეგმვა, 5. ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამუშავებელი მრეწველობის საწარმოთა დაგეგმვა; 6. საბუღალტრო აღრიცხვა.

დაუსწრებელი განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: 1. საბუღალტრო აღრიცხვა; 2. საავეჯო წარმოება.

XI. ქუთაისის სამთო ტექნიკუმში (1905 წლის რევოლუციის ქ. № 2).

დღის განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: 1. მადნეული და არამადნეული საბადოების მიწისქვეშა დამუშავება; 2. სამთო ელექტრომექანიკა; 3. სამრეწველო და სამოქალაქო შენებლობა; 4. შენობის სანტექნიკური მოწყობილობა; 5. სამთო საწარმოთა შენებლობა.

დაუსწრებელი განყოფილების შემდეგ სპეციალობაზე: 1. მადნეული და არამადნეული საბადოების მიწისქვეშა დამუშავება.

XII. მახარაძის კვების მრეწველობის ტექნიკუმში (მშვიდობის ქ. № 8).

დღის განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: 1. კვების მრეწველობის საწარმოთა მანქანები და მოწყობილობა; 2. პურის ცხობის წარმოება; 3. ჩაის ტექნოლოგია; 4. კვების მრეწველობის საწარმოთა დაგეგმვა; 5. საბუღალტრო აღრიცხვა.

XIII. ზუგდიდის პოლიტექნიკურ ტექნიკუმში (სოხუმის ქ. № 2-ა).

დღის განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: 1. ჰიდრომელიორაცია; 2. სამრეწველო და სამოქალაქო შენებლობა; 3. საქონელმცოდნეობა, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება და გასაღება; 4. სოფლის მეურნეობის მექანიზაცია; 5. საავტომობილო ტრანსპორტის ექსპლოატაცია; 6. საბუღალტრო აღრიცხვა.

დაუსწრებელი განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: 1. საქონელმცოდნეობა და სამრეწველო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაცია; 2. საქონელმცოდნეობა და სასურსათო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაცია; 3. საქმლის მომზადების ტექნოლოგია.

XVI. გრ. გეგეჭკორის სახელობის ფოთის ჰიდრომელიორაციულ ტექნიკუმში (ციოლის ქ. № 22).

დღის განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: 1. სამრეწველო საწარმოთა და დანადგარების ელექტრომოწყობილობა; 2. სამრეწველო და სამოქალაქო შენებლობა; 3. ჰიდრომელიორაცია; 4. ჰიდრომელიორაციულ სამუშაოთა მექანიზაცია; 5. საბუღალტრო აღრიცხვა.

საღამოს განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: 1. გემის მანქანები და მექანიზმები; 2. სამრეწველო საწარმოთა და დანადგარების ელექტრომოწყობილობა.

XVII. საგარეჯოს პოლიტექნიკურ ტექნიკუმში (ქ. საგარეჯო).

დღის განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: 1. ჰიდრომელიორაცია; 2. სამრეწველო და სამოქალაქო შენებლობა; 3. საქონელმცოდნეობა, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება და გასაღება; 4. სოფლის მეურნეობის მექანიზაცია; 5. საავტომობილო ტრანსპორტის ექსპლოატაცია; 6. საბუღალტრო აღრიცხვა.

დაუსწრებელი განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: 1. სამრეწველო და სამოქალაქო შენებლობა; 2. სოფლის მეურნეობის მექანიზაცია.

XVIII. ბორჯომის სატყეო მეურნეობის ტექნიკუმში (ინტერნაციონალის ქ. № 36).

დღის განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: 1. სატყეო მეურნეობა; 2. სამრეწველო და სამოქალაქო შენებლობა.

XIX. ჩხოროწყუს მექანიკური ტექნიკუმი (დ. ჩხოროწყუ).

დღის განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: 1. კვების მრეწველობის საწარმოთა მანქანები და მოწყობილობა; 2. სოფლის მეურნეობის მექანიზაცია; 3. საბუღალტრო აღრიცხვა.

XX. კასპის ინდუსტრიულ ტექნიკუმში (ქ. კასპი).

დღის განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: 1. მჭედა მასალების ტექნოლოგია; 2. საშენ მასალათა მრეწველობის მანქანები და მოწყობილობა; 3. ელექტროაპარატურამშენებელობა; 4. ელექტრო სადგურები, ქსელები და სისტემები; 5. სამრეწველო საწარმოთა და დანადგარების ელექტრომოწყობილობა.

XXI. ბათუმის ინდუსტრიულ ტექნიკუმში (გორკის ქ. № 112).

დღის განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: 1. სამრეწველო საწარმოთა და დანადგარების ელექტრომოწყობილობა; 2. ლითონების ჭრით დამუშავება; 3. სამრეწველო და სამოქალაქო შენებლობა; 4. სარაიონო ელექტროკავშირი და რადიოფიკაცია.

XXII. ქარელის ელექტრომექანიკურ ტექნიკუმში (დ. ქარელი).

დღის განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: 1. სამრეწველო საწარმოთა და დანადგარების ელექტრომოწყობილობა; 2. ლითონების ჭრით დამუშავება; 3. ავტომობილების ტექნიკური მომსახურება და რემონტი.

XXIII. თბილისის კავშირგაბმულობის რადიოელექტროტექნიკურ ტექნიკუმში (ოქტომბრის ქ. № 2).

დღის განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: 1. რადიოკავშირი და რადიომაუწყებლობა; 2. სატელევიზიო ტექნიკა და რადიორელეური კავშირი; 3. სიფოსტო კავშირი; 4. ავტომატური ელექტროკავშირი; 5. მრავალარხიანი ელექტროკავშირი; 6. რაიონული ელექტროკავშირი და რადიოფიკაცია.

დაუსწრებელი განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: 1. რადიოკავშირი და რადიომაუწყებლობა; 2. სიფოსტო კავშირი; 3. მრავალარხიანი ელექტროკავშირი.

XXIV. ტყიბულის ინდუსტრიულ ტექნიკუმში (ცირკოძის ქ. № 1).

დღის განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: 1. სამრეწველო საწარმოთა და დანადგარების ელექტრომოწყობილობა; 2. ლითონების ჭრით დამუშავება; 3. სამრეწველო და სამოქალაქო შენებლობა; 4. ქვანახშირის საბადოთა მიწისქვეშა დამუშავება.

დაუსწრებელი განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: 1. ქვანახშირის საბადოთა მიწისქვეშა დამუშავება.

რვაწლიანი სკოლის ბაზაზე შექმნილ ჯგუფებში შემსვლელნი მისალებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში:

მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის ეკონომიკის სპეციალობებზე — ქართულ ენაში (წერითხული ტესტის შინაარსი), მათემატიკაში (ზეპირი).

2. საშუალო სკოლის ბაზაზე შექმნილ ჯგუფებში შემსვლელნი მისალებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში:

ა) მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, მექანიზაციის და ჰიდრომელიორაციულ სამუშაოთა მექანიზაციის სპეციალობაზე — ქართულ ენასა და ლიტერატურაში (თხზულება), მათემატიკაში (ზეპირი).

ბ) ქიმიური ტექნოლოგიის, მეტალურგიის, ქაღალდისა და ცელულოზის ტექნოლოგიის, სასურსათო პროდუქტების ტექნოლოგიის, საქონელმცოდნეობის, სატყეო მეურნეობის, ტყავის ტექნოლოგიის, ქსოვილების გამოყენების სპეციალობებზე: — ქართულ ენასა და ლიტერატურაში (თხზულება), ქიმიაში (ზეპირი).

გ) სკოლამდელი აღზრდის, სასტუმრო მეურნეობის, იურიდიულ სპეციალობებზე — ქართულ ენასა და ლიტერატურაში (თხზულება), სსრ კავშირის ისტორიაში (ზეპირი).

ის პირები, ვინც საშუალო სკოლა დაამთავრა ქების სიგელით „ცალკე საგნის შესწავლაში განსაკუთრებული წარმატებისათვის“ თავისუფლდებიან მისალები გამოცდებისაგან იმ საგანში, რომლის წარმატებით შესწავლისათვისაც დაჯილდოებული არიან სიგელით, თუ ამ საგანში დადგენილია მისალები გამოცდა.

3. უგამოცდოდ განცხადებათა შეტანის მიხედვით ჩაირიცხებიან:

ა) რვაწლიანი სკოლის დამთავრებისას ქების სიგელით დაჯილდოებულნი ან საშუალო სკოლის დამთავრებისას ოქროს ან ვერცხლის მედლით დაჯილდოებულნი, აგრეთვე საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ის კურსდამთავრებულნი, რომლებმაც მიიღეს წარჩინების დიპლომი.

ბ) სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარებისა და ორგანოების ოფიცრები, პროპორციანი და მიჩმანები, რომლებიც ავადმყოფობის, ასაკისა ან შტატების შემცირების გამო სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი და თადარიგში გასული არიან (დათხოვნიდან ორი წლის განმავლობაში).

4. განცხადება მიღების შესახებ შეიტანება საშუალო სპეციალური სასწავლებლის დირექტორის სახელზე ერთიანი ფორმით, განცხადებას დაერთვის:

დოკუმენტი რვაწლიანი ან საშუალო განათლების შესახებ (დედანი), სამედიცინო ცნობა I ფორმა № 286. ოთხი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ, ზომა 3X4 სმ). სასწავლებელში შემსვლელი პირადად წარადგენს დაბადების მოწმობას ან პასპორტს, სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას.

5. განცხადების მიღება არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის იწარმოებს 31 ივლისამდე, ხოლო საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის 14 აგვისტომდე.

მისალები გამოცდები დაიწყება პირველ აგვისტოს, დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ სასწავლებლის დირექციას.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲙᲐᲠᲒᲘᲐ, ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲔᲚᲔᲑᲝ!

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (თბილისი) — „ᲓᲜᲔᲞᲠᲘ“ (დნეპროპეტროვსკი) — 4:1 (1:0).

15 ივნისი, თბილისი, „ლოკომოტივის“ სტადიონი. მსაჯი ა. ბალაიანი (ბაკო).

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ — გოგია, ძოძუაშვილი (ბიზანიშვილი), ჭელიძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, ჩივაძე, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი, დარასელია.

„ᲓᲜᲔᲞᲠᲘ“ — კოლტუნი, პილიჩუკი, ნაიდა, გოლიკოვი, ბოგდანოვი, ტომახი, შნეიდერმანი, სოლოვიოვი (სამოილენკო), რომანიუკი, იაკოვლევი, შალკო.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ „დინამომ“ ამ დღეს უძლიერეს შემადგენლობას მოუყარა თავი, და... „ხარისხში აიყვანა“ ყოველივე. მართლაც ლამაზი, გააზრებული, დიდი ხნის მონატრებული თეხბურთი გვიჩვენეს ქართველმა დინამოელებმა — ფეხბურთი, რომელსაც მისგან გულშემატკივარი ელის.

...მასპინძლებმა უკვე მე-14 წუთზე გახსნეს ანგარიში, როდესაც გუცაევის დარტყმის შემდეგ ძელიდან ასხლტილი ბურთს მიუსწრო ყიფიანმა და თავიანთ გიგზავნა იგი ცარიელ კარში. უნდა ითქვას, რომ მატჩის დებიუტშივე ამ ბურთმა თავისი საქმე გააკეთა — თბილისელებმა დინჯად, შეუცდომლად წარმართეს ასპარეზობა და სრული უპირატესობა მოიპოვეს.

გოლების ნამდვილი მოსავალი შესვენების შემდეგ ვიხილეთ. 57-ე წუთზე დნეპროპეტროვსკელმა მალკომ აშკარად არასგოლ, სიტუაციაში ისარგებლა თბილისელთა დაკვირა და მეკარის შეცდომით და საპასუხო ბურთი გაიტანა — 1:1.

მოედნის სიღრმიდან დარასელიამ მორიგი კომბინაცია წამოწყო, რომელიც ყიფიანმა გაგრძელა. ამას ზუსტი გადაცემა მოჰყვა და მაჩაიძემ კვლავ წინ გაიყვანა თავის გუნდი — 2:1. რვა წუთის შემდეგ ყიფიანმა საჯარიმო დარტყმით მესამე ბურთი გაგზავნა კოლტუნის კარში.

დინამოელები (გუცაევი, ჭელიძე, ყიფიანი, მ. მაჩაიძე) განუწყვეტლივ ბომბავდნენ სტუმართა კარს, მაგრამ ბურთი დიდხანს ვერ აღწევდა მიზანს. დაიკარგა გოლის გატანის იმდენი მომენტი, როგორც იტყვიან, სამ მატჩს რომ ეყოფოდა.

და აი შეხვედრის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე გუცაევმა მეოთხე ბურთი მოიგავლა „დნეპრის“ კარში.

თბილისელმა გუცაევმა სპეციალური პრაზი მიიღო (დნეპროპეტროვსკელ რომანიუკთან ერთად) როგორც მატჩის საუკეთესო მოთამაშემ.

Ო. ᲜᲝᲜᲨᲐᲫᲔ.

ᲔᲥᲕᲡᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე გაიმართა „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის კიდევ ექვსი მატჩი.

აი მათი შედეგები:

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ Მ. — „ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ“ — 1:0
„ᲙᲠ. ᲡᲝᲕᲔᲢᲝᲕᲘ“ — „ᲖᲔᲜᲘᲗᲘ“ — 2:1
„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ ᲛᲒ. — „ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ“ — 2:0
„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ Კ. — „ᲙᲐᲠᲞᲐᲗᲘ“ — 3:1
„ᲖᲐᲠᲘᲐ“ — „ᲩᲔᲠᲜᲝᲛᲝᲠᲪᲘ“ — 0:0
„ᲐᲠᲐᲠᲐᲢᲘ“ — „ᲨᲐᲮᲢᲘᲝᲠᲘ“ — 2:0

ᲓᲦᲔᲡ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ

ᲓᲦᲔᲡ იუგოსლავიაში იწყება ფეხბურთში ევროპის პირველობის დასკვნითი ნაწილი, რომელიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ჰოლანდიის, ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის ნაკრები გუნდები მონაწილეობენ.

ამ დღეებში მწვრთნელებმა გამოაცხადეს გუნდების შემადგენლობა.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲚᲘᲒᲐᲨᲘ

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ფეხბურთში მეორე ლიგის პირველი ზონის საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები ჩვენი რესპუბლიკის გუნდების მონაწილეობით. ოგვეყოს მათი შედეგები: გროზნოს „ხიმიკი“ — ვიათურის „მაღაროელი“ — 2:0; ბრესტის „დინამო“ — გორის „დილა“ — 2:0; დროგობის „სპარტაკი“ — სამტრედიის „ლოკომოტივი“ — 0:1; რუსთავის „მეტალურგი“ — ზუგდიდის „დინამო“ — 1:2; ლენინაკანის „შირაქი“ — ბათუმის „დინამო“ — 2:0; კიროვაბადის „პროგრესი“ — — ლენინუთის „გურია“ — 2:5.

ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲚᲔᲜᲣᲛᲘ

1976 ᲬᲚᲘᲡ 17 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ თბილისში მოწვეულია საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობისა და სახალხო უნივერსიტეტების რესპუბლიკური საბჭოს გაერთიანებული პლენუმი.

პლენუმი გაიხსნება ᲨᲐᲓᲠᲐᲙᲘᲗ სასახლეში (ლენინის, 37, კიროვის პარკი) **17 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ᲓᲦᲔᲡ 11 ᲡᲐᲐᲗᲘᲡᲐᲖᲔ.**

პლენუმის მონაწილეთა რეგისტრაცია იქვე იწარმოებს დილის 10 საათიდან.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ „ᲪᲝᲓᲜᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ.

ᲨᲔᲯᲐᲠᲘ

ᲛᲐᲜᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲜᲐᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ

□

ᲛᲔᲥᲘᲜᲒᲡ ᲘᲛᲔᲓᲘ ᲐᲥᲕᲡ

ᲡᲐᲖᲝᲜᲐᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ტურნირის სტარტი, როგორც მოსალოდნელი იყო, მეტად საინტერესო გამოდგა. ინტერესს ისიც აღვივებს, რომ საჭადრაკო პრესაში გამოჩნდა ცნობები მონაწილეთა მზადების შესახებ. ლიუბოვეიჩი, როგორც ჯამიერკვა, ერთბაშად ორ მწვრთნელთან — ოსტროიჩთან და მინიჩთან ემზადებოდა. მეკინგმა შეჯიბრების დაწყების წინ „ტრადიციული“ განცხადება გააკეთა, მხოლოდ პირველი ადგილისათვის ვიბრძვიო. ბრახლიელმა პირველ ორ ტურში მარცლაც მოიპოვა წარმატება — 1,5 ქულა მოაგროვა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ უძლიერეს მონაწილეებს როდი შეხვდა. ერთგვარი მოულოდნელობა იყო, რიბლიმ და პანომ რომ წააგეს. საქმე ის არის, რომ ეს დიდოსტატები მეტად იშვიათად მარცხდებიან. მეორე მხრივ, უკომპრომისო მოჭადრაკეებმა პოლუგაევსკიმ და ციშკოვსკიმ ტურნირი ორ-ორი ყაიმით დაიწყეს.